



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის
კვალიფიკაციის პრობლემები

სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ავტორი გიორგი ხაჩიშვილი

ხელმძღვანელი იოსებ ვარძელაშვილი, სამართლის დოქტორი

თბილისი, 2019 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	4
თავი 1. აუცილებელი მოგერიება და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა	7
თავი 2. აუცილებელი მოგერიების ცნება.....	10
2.1. ისტორიული მიმოხილვა	15
თავი 3. აუცილებელი მოგერიების ნიშნები	18
3.1. უკიდურესი მდგომარეობა	18
3.2. უკიდურესი მდგომარეობით გამოწვეული მოქმედება	22
3.3. თავდაცვის სურვილი	23
თავი 4. მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით....	26
თავი 5. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	37
5.1. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა (სტატისტიკური მონაცემები)	41
დასკვნა	43

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა:

აშშ.	- ამერიკის შეერთებული შტატები
გამ.	- გამომცემა
გამომც.	- გამომცემლობა
გვ.	- გვერდი
დასახ. ნაშრ.	- დასახელებული ნაშრომი
თბ.	- თბილისი
იხ.	- იხილეთ
მაგ.	- მაგალითად
ნაწ.	- ნაწილი
სსკ.	- სისხლის სამართლის კოდექსი
ტ.	- ტომი
v.	- versus

შესავალი

საკითხის აქტუალობა

ყველა ადამიანი, შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი არჩევანის წინაშე, როგორც არის სხვისი ინტერესების ხელყოფასა და საკუთარი სიცოხლის, თუ ჯანმრთელობის ხელყოფას შორის. იგი სრულიად ლეგიტიმურად უნდა სარგებლობდეს უფლებით დაიცვას საკუთარი თავი და ინტერესები. სისხლის სამართალში ასეთ ვითარებას აუცილებელ მოგერიებას უწოდებენ. თავდაცვას შეიძლება მოყვეს თავდამსხმელის მკვლელობა, თუმცა შესაძლებელია მომგერიებელმა პასუხი საერთოდ არ აგოს ხელმყოფის მკვლელობისთვის, ან დაისაჯოს უფრო მსუბუქად. ასეთ შემთხვევას სისხლის სამართალში ეწოდება მკვლელობა, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

როდესაც ვსაუბრობთ მკვლელობაზე, რომელიც ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ რა არის აუცილებელი მოგერიების ცნება და შინაარსი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მკვლელობა ჩადენილი აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის სიღრმისეულად დამუშავებული. რაც შეეხება აუცილებელ მოგერიებას, საბჭოთა პერიოდში აუცილებელი მოგერიების ცნებაზე ქართველი მეცნიერების თ. შავგულიძისა და ლ. სურგულაძის მიერ, გამოიცა ნაშრომი „საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.“¹ თანამედროვე ქართველი ავტორებიდან, უნდა გამოიყოს ი. ხერხეულიძე, რომელსაც აუცილებელი მოგერიების თემა სიღრმისეულად აქვს შესწავლილი ნაშრომში „აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში.

მკვლელობას აუცილებელი ფარგლების გადაცილებით ეძღვნება საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლი. აღნიშნულ თემა არ გამოირჩევა არც მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურით და როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადჰყო, არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა. სამეცნიერო ლიტერატურის თვალსაზრისით, სადაც საუბარია მკვლელობაზე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით უნდა აღინიშნოს, სისხლის სამართლის კოდექსის

¹ ხერხეულიძე ი., აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, თბ.-ის უნივერსიტეტის გამომც., თბ., 2008, გვ. 7

კომენტარები, რომელსაც პერიოდულობით ამუშავებენ ქართველი მეცნიერ იურისტები, როგორებიც არიან ნ. თოდუა, მ. ტურავა და სხვები.

აღნიშნული თემა მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან ნაშრომი პასუხობს კითხვებს, რა არის აუცილებელი მოგერიება. როდის ხდება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება და რა შემთხვევაში დგება გამამტყუნებელი განჩენი დანაშაულისთვის, რომელიც გულისხმობს მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

ნაშრომის მიზანი.

ჩემი ნაშრომის მიზანია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის საკითხთან დაკავშირებული პრობლემების გაანალიზება და გადაჭრა. იგი დახმარებას გაუწევს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციით დაინტერესებულ პირებს.

გამოყენებული კვლევის მეთოდი.

საკვლევი პრობლემები სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სასამართლო პრაქტიკისა და სასამართლო სტატისტიკის გაანალიზების საფუძველზე. ნაშრომში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, რაც შესაძლებლობას იძლევა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მიდგომების შედარებას ერთმანეთთან, ასევე მოყვანილია ანალოგიური პრაქტიკული მაგალითები აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და ხუთი ქვეთავისგან, დასკვნისგან და ბიბლიოგრაფიისგან. პირველ თავში მოკლედ მიმოხილოლია აუცილებელი მოგერიება და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის თემა. მეორე თავში საუბარია აუცილებელი მოგერიების ცნებაზე უფრო სიღრმისეულად. შემდეგ ქვეთავში განხილულია აუცილებელი მოგერიების ისტორიული მიმოხილვა. მომდევნო თავი ეძღვნება აუცილებელი მოგერიების ნიშნებს ზოგადად, შემდეგ სამ ქვეთავში კი ინდივიდუალურად განხილულია აუცილებელი მოგერიების ნიშნები: უკიდურესი მდგომარეობა, უკიდურესობი მდგომარეობით გამოწვეული მოქმედება და თავდაცვის სურვილი. შემდეგი თავი ეძვნება

უშუალოდ მკვლევლობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. ახსნილია მისი არსი და მოყვანილია შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილება პრაქტიკიდან. მომდევნო თავში საუბარია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლევლობის სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე, სადაც წარმოჩენილია პრობლემური საქმეები სასამართლო პრაქტიკიდან. შემდეგი ქვეთავი ეძღვნება ისევ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლევლობას, კერძოდ სტატისტიკურ მონაცემებს. ნაშრომი შეჯამებულია დასკვნის სახით, რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.

ნაშრომის თეზისი.

ქმედებას, რომელიც ბრალდების მხარის მიერ დაკვალიფიცირებულია როგორც განზრახ მკვლევობა, განაჩენის გამოტანის დროს, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები, განსხვავებით უზენაესი სასამართლოსგან, როდესაც სახეზეა მკვლევობა, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ნაკლები ინტენსივობით აძლევენ ამ ქმედებას ახალეზურ სამართლებრივ შეფასებას - საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით.

თავი 1. აუცილებელი მოგერიება და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა

აუცილებელი მოგერიება არის ერთ-ერთი უძველესი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი.² იგი სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართალში თითქმის იდენტურად განისაზღვრება: „გამართლება პირი, რომელმაც თავდაცვის მიზნით უპასუხა თავდამსხმელს, მაგრამ ერთი პირობით, რომ იგი მოქმედებს დაუყოვნებლივ და გარემოების შესაბამისად”.³ საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი იძლევა აუცილებელი მოგერიების ცნების დეფინიციას: „მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი, ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.”⁴

აუცილებელი მოგერიება, არის კანონიერი უფლება, ისევე როგორც სხვა კანონიერი უფლებები. იგი გულისხმობს აუცილებელ და საპასუხო თავდაცვით ძალის გამოყენებას აგრესორის წინააღმდეგ, ვინც ახორციელებს უკანონო თავდასხმას, ხოლო ძალის გამოყენების მიზანი არის ლეგიტიმური ინტერესის დაცვა.⁵

საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლს დანაშაულის ან დანაშაულის შედეგის თავიდან აცილებისთვის შეუძლია გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების უფლება, გარკვეული პირობების დაცვით. აუცილებელი მოგერიების უფლების წარმოშობისთვის, საჭიროა, რომ პირი იმყოფებოდეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. კონკრეტულად რა შემთხვევებში წარმოიშვება აუცილებელი მოგერიების უფლება, ქვემოთ ვისაუბრებ აუცილებელი მოგერიების ცნების დეტალურად განხილვისას.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა თუ არა პირი, ყოველი საქმის დეტალური შესწავლისას უნდა დადგინდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმ გარემოებების შესაფასებლად, მოქმედებდა თუ არა პირი აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, უნდა დადგინდეს შემდეგი:

² ნაჭყებია გ.. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. გამომც. მერიდიანი., თბ., 2007., გვ. 244

³ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (მეორე გამოცემა), თბ., 2016, გამომც. მერიდიანი, გვ. 380

⁴ საქართველოს სსკ, 28-ე მუხლის პირველი ნაწ.

⁵ Boaz Sangero, Self-Defense in Criminal law, გამომც. Oxford Hart, 2006, გვ. 45-52

„ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, ხელყოფა იმავდროულად საფრთხეს უნდა უქმნიდეს სამართლით დაცულ სიკეთეს, ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი, თავდაცვა უნდა შეესაბამებოდეს თავდასხმას (ხელყოფას). აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობისთვის აუცილებელია ერთმანეთთან კავშირში მყოფი რამდენიმე გარემოების შეფასება, როგორცაა კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი და საფუძველი, გამოყენებულ საშუალებათა ურთიერთშესაბამისობა, როგორც ხელმოყოფის საშიშროებასთან, ისე ინტენსივობასთან. ამ გარემოებათა დადგენის გარეშე მდგომარეობა ვერ ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად.“⁶

შესაძლებელია, რომ ადამიანი მართლაც იმყოფებოდეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, თუმცა მისი საპასუხო რეაქცია თავდამსხმელი პირის მიმართ, რომელიც აზიანებს მის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს გასცდეს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. იურიდიულად, ასეთ შემთხვევას, ეწოდება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება. „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.“⁷

საქართველოს სსკ-ში, ვხვდებით ორ დანაშაულს, რომელიც ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. პირობითად, რომ დავნომროთ, პირველი ასეთი დანაშაულია ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, რომელსაც საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლი ეძღვნება და მეორე დანაშაულია - მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. აღნიშნულ დანაშაულს ეთმობა საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსის 113-ე მუხლი. ქმედება საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით რომ დაკვალიფიცირდეს, საჭიროა ჯერ დადგინდეს იყო თუ არა პირი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და შემდეგ უნდა გადააცილოს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს. ბუნებრივია, თუ არ იმყოფება პირი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ის ვერ ჩაიდენს მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. არამედ, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს

⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე N 1/ზ-570-16 იხ. <http://library.court.ge/judgements/1652017-08-10.pdf>

⁷ დასახ. კოდექსი, 28-ე მუხლის მეოთხე ნაწ.

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) ან სხვა შესაბამისი მუხლით, საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის შესახებ სასამართლო პრაქტიკიდან განვიხილოთ საქმე. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მაისის განაჩენით, ე. მ.-ს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შვილის ა. მ.-ს მკვლელობისთვის აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დგინდებოდა, რომ ე. მ.-სა და მის მეუღლეს შვილი ხშირად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას (რამდენჯერმე ცეცხლის წაკიდებაც სცადა მათთვის). შემთხვევის დღეს ალკოჰოლური და ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა შვილმა ე. მ.-სგან მოითხოვა გარკვეული ფულადი თანხა და უარის მიღების შემდეგ, ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მამას, შემდეგ ფიზიკური - და დანით ყელის არეში დაზიანებაც მიაყენა. იგი კონფლიქტისგან თავის არიდების მიზნით სამზარეულო ოთხში გავიდა, თუმცა შვილი უკან გაჰყვა და კვლავ ცდილობდა დანის გამოყენებას, რა დროსაც ბრალდებულმა აიღო დანა და მუცლის არეში დაარტყა შვილს. ჭრილობა სიცოცხლისთვის სახიფათო აღმოჩნდა და ადგილზე გარდაიცვალა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებული იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. იგი თავს იცავდა, თავდასხმა ა. მ.-სგან იყო მართლსაწინააღმდეგო, რეალური და თავდაცვა ე. მ.-სგან იყო აუცილებელი. თუმცა სასამართლომ მიუთითა, გარდაცვლილისთვის მიყენებული დაზიანებების რაოდენობა (ოცდაერთი), რომელთაგან 4 სიცოცხლისთვის სახიფათო იყო, ადასტურებდა ბრალდებულის მხრიდან აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას.⁸

ვრცლად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე მუხლის შესახებ ქვემოთ მექნება საუბარი და ასევე განვიხილავ სასამართლო გადაწყვეტილებას.

⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მაისის განაჩენი #1/6856-14
https://emcrights.files.wordpress.com/2016/12/e183a1e18390e18391e18398e183a1-e183a1e18390e183a5e1839be18394_e183a1e18390e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e1839ae1839d-e1839b1.pdf?fbclid=IwAR2fWI4skFsP2CrJ18D6if1oQTKFFQkkWjz_W3PK8HkEgb22w3dK5GDmjoMhttps://emcrights.files.wordpress.com/2016/12/e183a1e18390e18391e18398e183a1-e183a1e18390e183a5e1839be18394_e183a1e18390e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e1839ae1839d-e1839b1.pdf?fbclid=IwAR2fWI4skFsP2CrJ18D6if1oQTKFFQkkWjz_W3PK8HkEgb22w3dK5GDmjoM

თავი 2. აუცილებელი მოგერიების ცნება

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აუცილებელი მოგერიების ცნება მოცემულია საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველ ნაწილში. აუცილებელი მოგერიების დროს, ადამიანი, რომელზეც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა ხდება, აზიანებს თავდამსხმელს, რათა დაიცვას თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთე.

აუცილებელი მოგერიების შესახებ პრაქტიკიდან განვიხილოთ მაგალითი: „ 42 წლის მამაკაცს თ. გ.-ს სქესობრივი კავშირი ჰქონდა 16 წელს მიუღწეველ ს. გ.-სთან. აღნიშნული სახელგამტები ფაქტის გახმაურების მუქარით, თ. გ. არასრულწლოვან ს. გ.-ს დაახლოებით, 8 თვის მანძილზე სისტემატიურად აიძულებდა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას. ასევე, მას ემუქრებოდა, მისი მოთხოვნის დაუკმაყოფილების შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობითა და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზიანებით. ს. გ.-ს მოძალადის მუქარის რეალურად განხორციელების სჯეროდა. ერთ დღეს, თ. გ.-მ გაღიზიანებულმა იმ ფაქტით, რომ ს. გ.-მ მუქარების მიუხედავად მასთან ურთიერთობის შეწყვეტა საბოლოოდ გადაწყვიტა, ამ უკანასკნელს დაუწყო ცემა. ცემის დროს დანით ს. გ.-ს მიაყენა ჭრილობა ფეხის არეში. თან ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით. ს. გ.-ს სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფის საფრთხე გახდა იმწუთიერი და რეალური. ს. გ.-ს შეეშინდა და გაუჩნდა თავდაცვის ინსტიქტი, ამ დროს თ. გ.-ს ხელიდან გაუვარდა სამზარეულოს დანა, რაც აიღო ს. გ.-მ და მოძალადის თავიდან მოშორების მიზნით მას დაარტყა გულმკერდის არეში, რის შედეგადაც თ. გ. გარდაიცვალა. აღნიშნულ საქმეზე, პროკურორის გადაწყვეტილებით შეწყდა გამოძიება ვინაიდან ს. გ.-ს ქმედება არ იყო მართლსაწინააღმდეგო და იგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.”⁹

ეს შემთხვევა, რეალური პრაქტიკიდან, ნათელი მაგალითია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის. კანონი აწესრიგებს აუცილებელი მოგერიების სიტუაციას და მიიჩნევს, რომ ამ დროს ძალის გამოყენება მართლზომიერია.¹⁰

⁹ პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის, მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, გვ. 52 იხ. <https://rm.coe.int/training-manual-georgia-chapter-geo-pdf/16808e9a41>

¹⁰ Clarkson and Keating, Criminal law, Text and Materials, მე-7 გამოც. გამომც. Sweet and Maxwell, 2010. გვ. 303

საქართველოს სსკ-ში აუცილებელი მოგერიების ცნების განმარტება მოცემულია ზოგადი სახით, მოქმედი კანონმდებლობა აწესებს გარკვეულ პირობებს, რათა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა არ გადაიზარდოს უფლების ბოროტად გამოყენებაში. „აუცილებელი მოგერიების ვითარების წარმოქმნის პირობად, უპირველეს ყოვლისა, გვევლინება ქმედების მართლწინააღმდეგობა.“¹¹ აქვე უნდა აღინიშნოს აუცილებელი მოგერიების ნიშნების შესახებ. აუცილებელი მოგერება შედგება სამი ნიშნისგან: უკიდურესი მდგომარეობა, უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება და სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი.¹² ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს მეოთხე წინაპირობაც. „იგი მდგომარეობს გარკვეულ შემთხვევებში აუცილებელი მოგერიების უფლების სოციალურ-ეთიკურ შეზღუდვაში.“¹³ აუცილებელი მოგერიების ნიშნებზე დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებ.

არსებობს აუცილებელი მოგერიების ორი სახე: „აუცილებელი თავდაცვა და აუცილებელი დახმარება“.¹⁴ სისხლისსამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით მათ შორის დიდი განსხვავება არ არსებობს. თავდაცვა ისეთი შემთხვევაა, როდესაც ადამიანი თავის სამართლებრივ სიკეთეს იცავს, ხოლო აუცილებელი დახმარება არის აუცილებელი მოგერება სხვა პირის ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.¹⁵ აუცილებელი მოგერიების უფლებით სარგებლობს ყველა ადამიანი, მიუხედავად მისი პროფესიის, სამსახურებრივი მდგომარეობის თუ მისი სპეციალური მომზადების.¹⁶

ჯენს დევიდ ოზლინს მოჰყავს ასეთი მაგალითი: წარმოვიდგინოთ სახელმწიფო, რომელმაც გადაწყვიტა გააუქმოს თავდაცვის (აუცილებელი მოგერება) უფლება საკუთარი სისხლის სამართლის კანონით, პაციფიზმის იდეაზე დაყრდნობით. ვთქვათ, ფიზიკურ პირზე მოხდა თავდასხმა, რომელმაც გამოიწვია მისი ჯანმრთელობის დაზიანება ან სხვაგვარი ზიანი. მიუხედავად იმისა, რომ კანონით აკრძალულია თავდაცვა, თავდასხმის მსხვერპლს მაინც ექნება უფლება

¹¹ ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოც.) გამომც. უნივერსალი, თბ., 2012., გვ. 94

¹² ტურავა მ. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მეცხრე გამოც.), გამომც. მერიდიანი, თბ. 2013, გვ. 174-179

¹³ ხერხელიძე, ი. დასახ. ნაშრომი, თბ.-ის უნივერსიტეტის გამომც. თბ., 2008, გვ. 72

¹⁴ ტურავა მ. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (პირველი წიგნი), დანაშაულის მოძღვრება, გამომც. მერიდიანი, თბ., 2011, გვ. 343

¹⁵ ტურავა მ. დასახ. ნაშრომი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2013, გვ.173

¹⁶ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი პირველი) მეექვსე გამოც. გამომც. მერიდიანი, თბ., 2016, გვ 88

დაიცვას თავი უკანონო თავდასხმისგან, რადგან ეს უფლება არ შეიძლება იყოს წართმეული.¹⁷

ნაშრომში „ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის შემქნელი დელიქტები” თემურ ცქიტიშვილის წერს: „თავდამცველმა თავდასხმა შეიძლება მოიგერიოს ისეთი ქმედებით, რომელიც იწვევს ჯანმრთელობის დაზიანებას ან თავდამსხმელის სიცოცხლის მოსპობას, მაგრამ თუ დაცულია თავდასხმისა და თავდაცვის თანაფარდობა, ქმედების მართლწინააღმდეგობა გამოირიცხება.”¹⁸

თემურ ცქიტიშვილის აზრით, იმისთვის, რომ საფრთხის დელიქტებში აუცილებელმა მოგერიებამ მართლწინააღმდეგობა გამოირიცხოს, სახეზე უნდა იყოს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ყველა ობიექტური და სუბიექტური პირობა.¹⁹

აუცილებელი მოგერიების ცნებაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა შევხებით აუცილებელი მოგერიების ობიექტურ და სუბიექტურ მხარეს.

აუცილებელი მოგერიების ობიექტური მხარე გულისხმობს შემთხვევას, როდესაც პირზე ხდება მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა ანუ ობიექტურად არსებობს ხელყოფა. მაგალითად, ა. რეგულარულად სარგებლობდა კურიერის მომსახურებით, რა დროსაც საკმაოდ ძვირადღირებულ პროდუქციას უკვეთავდა. კურიერს წარმოეშვა განზრახვა, დაეყაჩაღებინა ა. ამიტომ მან შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და დაელოდა ა.-სთან ვიზიტს. ა.-მ შეიტყო, რომ ერთ-ერთი გამოძახების დროს, აღნიშნულ კურიერს შეურაცხყოფა მიეყენებინა მისი მეუღლისთვის, კერძოდ, უთქვამს, რომ ძალიან ლამაზი ქალი იყო და შესთავაზა სქესობრივი კავშირი. ა. იყო რა განრისხებული კურიერზე, მოსვლისთანავე გამოასალმა სიცოცხლეს. ობიექტურად, სახეზე გვაქვს თავდასხმის მოგერიება, რადგან წამითაც რომ დაეგვიანა ა.-ს კურიერი სისრულეში მოიყვანდა განზრახვას. ასეთ შემთხვევაში, სახეზეა არა თავდაცვის მიზანი, არამედ განზრახ მკვლელობაა, შურისძიების მოტივით.

აღნიშნული კაზუსი შევცვალოთ ასე: კურიერმა შეკვეთა მოიტანა ა.-ს სახლში, რა დროსაც კარი ა.-ს მეუღლემ გაუღო. კურიერი თავს დაესხა მას და

¹⁷ Jens David Oblin, The Doctrine Of Legitimate Defense, Stockton Center, 2015, Vol. 91. 124 ob.

<https://scholarship.law.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2562&context=facpub>

¹⁸ ცქიტიშვილი თ. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის შემქნელი დელიქტები, თბ. უნივერსიტეტის გამომც. თბ., 2014, გვ. 301

¹⁹ იქვე, გვ. 301

სიცოხლისთვის საშიში ძალადობის მუქარით მოითხოვა ფული და ძვირფასეულობა. ა. სწორედ ამ დროს დაბრუნდა სახლში, უკანა კარიდან შემოსულმა დაინახა რაც ხდებოდა და კურიერი მოკლა. ამ შემთხვევაში ობიექტურად სახეზეა, თავდასხმის მოგერიება, ხოლო სუბიექტურად - თავდაცვიზ მიზანი. ა.-ს შეცნობილი ჰქონდა სუბიექტურად, რომ მოქმედებდა საკუთარი თავისა და ოჯახის დასაცავად.

მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება გარეგნულად გამოიხატოს ან ქმედებაში ან უმოქმედობაში. ლოგიკურად, ჩნდება კითხვა: აუცილებელი მოგერიების უფლებას ქმედების ორივე სახე წარმოშობს? არსებობს ორი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, აუცილებელი მოგერიება შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ეჭვს არ იწვევს, რომ პირის მოგერიება მოქმედებით არის შესაძლებელი. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ ხდება თავდამსხმელის დაზიანება. ზიანი ისეთი უნდა იყოს, რომ იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას თუ არ იქნება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა. მაგალითად, თავდამსხმელის მოკვლა, ჯანმრთელობის დაზიანება და ა.შ. აუცილებელი მოგერიება იშვიათი გამონაკლისის სახით, შესაძლებელია უმოქმედობითაც.²⁰ იგივე მოსაზრებას ავითარებს თ. შავგულიძე და მაგალითად მოჰყავს გაწვრთნილი ძაღლის შემთხვევა, როდესაც პირს თავს დაესხნენ პირთა ჯგუფი და დაუწყეს ცემა, მაგრამ დაზარალებულს მისი გაწვრთნილი ძაღლი წამოეშველა. დაზარალებულს შეეძლო ძაღლი არ მიეშვა თავდამსხმელებისთვის, თუმცა მან ეს არ გააკეთა. მართალია თვითონ გადარჩა, მაგრამ ერთ-ერთი თავდამსხმელს ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდა.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი. ა.-მ გადაწყვიტა თავისი გაწვრთნილი ძაღლი მიეშვა მეზობლისთვის, რომელთანაც დამაბული ურთიერთობა ჰქონდა ყოფილი კონფლიქტის გამო. პატრონის წაქეზებით ძაღლი მართლაც თავს დაესხა მეზობელს. ამ შემთხვევაში მეზობელი თუ ცხოველს მოკლავს ან რამეს დაუშავებს აუცილებელი მოგერიების ვითარებაში აღმოჩნდება, რადგან პატრონის წაქეზებული ძაღლი კი არ წარმოადგენს საფრთხეს, არამედ წამქეზებელ-პატრონი. სხვა შემთხვევებში, ვთქვათ, ცხოველი თუ თვითონ, თავისი ინიციატივით დაესხმება თავს ადამიანს, იქნება არა აუცილებელი

²⁰ გამყრელიძე თ. 2005. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, გამომც. საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბ. გვ 222

მოგერიების მდგომარეობა, არამედ უკიდურესი აუცილებლობა.²¹ ვინაიდან უკიდურესი აუცილებლობის შესახებ მსჯელობა სცდება სა მაგისტრო ნაშრომის ფარგლებს მასზე არ შევჩერდები.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა, ხომ არ შეიძლება შეიზღუდოს აუცილებელი მოგერიების უფლება, ხელმყოფი სუბიექტის მიხედვით? ვგულისხმობ ისეთ შემთხვევას, როდესაც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმას ახორციელებს პირი, რომელიც არის შეურაცხადი, ასაკის ან ფსიქიკური დაავადების გამო. მალხაზ ლომსაძე ნაშრომში „ საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი” იყენებს ა. პიონტკოვსკის ნამსჯელს, რაც ნამდვილად გასაზიარებელია: „აუცილებელი მოგერება, დასაშვებია ფსიქიკურად დაავადებულთა, მცირეწლოვანთა მიმართაც, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებენ.”²² სამართლებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ აქვს ხელყოფას შეურაცხადი პირი ახორციელებს თუ შეურაცხადი. მოქალაქეს ყველა შემთხვევაში აქვს აუცილებელი მოგერიების უფლება. საკმარისია ხელყოფა იყოს მართლსაწინააღმდეგო და არ აქვს მნიშვნელობა სუბიექტს, თუ ვინ იქნება სამართლებრივი სიკეთის ხემყოფი, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში სამართლებრივი სიკეთე საფრთხის ქვეშ დგება. გურამ ნაჭყებიას აზრით, თავდამცველის მიმართ თავდასხმა აუცილებლად მართლსაწინააღმდეგო ხასიათს უნდა ატარებდეს, იგი მნიშვნელობას არ ანიჭებს მოქმედებს თუ არა ხელმყოფი ბრალეულად, მთავარია თავდასხმა ცალსახად მართლსაწინააღმდეგო იყოს.²³ ამ შემთხვევის საპირისპიროდ, განვიხილოთ ასეთი მაგალითი: პოლიციელმა მოქალაქეებს მოუწიდა გადასულიყვნენ გზის სავალი ნაწილიდან, რადგან აფერხებდნენ მოძრაობას. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მან მიიღო ზომები მოქალაქეების დასამორჩილებლად, ან ბრალდებულის დაკავება პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან და სხვა მსგავსი შემთხვევები. ასეთი ვითარება ვერ ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფად და პირს მოგერიების უფლებაც არ წარმოემოხება, წერს ოთარ გამყრელიძე.²⁴

²¹ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, იხ. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12559&fbclid=IwAR1D0E7Ho0-U7UeSOZexS9_g_WFxdVVPJCTSBxd5Q5hMZZia3F9MmRoKdjo

²² ლომსაძე მ., დასახ. ნაშრომი, გამომც. უნივერსალი, თბ., 2012., გვ. 94

²³ ნაჭყებია გ. 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწ. გამომც. მერიდიანი. თბილისი. გვ 246

²⁴ გამყრელიძე ო. 2005. დასახ. ნაშრომი, გამომც. საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბ. გვ.213

უმოქმედობა, წერს მალხაზ ლომსაძე, მხოლოდ მაშინ წარმოშობს აუცილებელი მოგერიების ვითარებას, თუ პირს აქვს სამართლებრივი ვალდებულება მოქმედებისა, აქვს შესაძლებლობა ასეთი მოქმედებისა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედების შედეგად მართლსაწინააღმდეგო შედეგი თავიდან იქნება აცილებული. ამრიგად, უმოქმედობასა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს შორის, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, რათა წარმოიშვას უმოქმედობისას აუცილებელი მოგერიების ვითარება.²⁵

ასეთი დასკვნის არგუმენტაციის მიზნით, თ. შავგულიძეს, მოჰყავს ასეთი მაგალითი: ან-მა მძმედ დაჭრილი ბა-ნი მიიყვანა საავადმყოფოში პირველადი დახმარების აღმოსაჩენად. ექიმმა გან-მა ბან-ში ამოიღო თავისი მეზობელი, რომელთანაც მტრული ურთიერთობა ჰქონდა. გადაწყვიტა მისი სიკვდილი, რის გამოც უარი განაცხადა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. ან-მა იარაღის მუქარით გან-ი აიძულა გაეკეთებინა ოპერაცია. გან-ს ჰქონდა სამართლებრივი ვალდებულება მოქმედებისა და ვინაიდან არ მოქმედებდა, ასეთმა მდგომარეობამ წარმოშვა აუცილებელი მოგერიების ვითარება.²⁶

როგორც ვხედავთ, აუცილებელი მოგერიება, შესაძლებელია განხორციელდეს მოქმედებითაც და უმოქმედობითაც. თუმცა, აუცილებელი მოგერიების უმოქმედობით განხორციელების შემთხვევები პრაქტიკულად ძალზე იშვიათია.²⁷

2.1. ისტორიული მიმოხილვა

ჯონ მერიემი წერდა, თავდაცვის (აუცილებელი მოგერიება) უფლება არის ძველი როგორც ისტორია და დიდი ხანია რაციონალურად არსებობს მოსაზრება, რომ მიუხედავად იმისა თუ რა საზოგადოებაში ცხოვრობს ადამიანი ან რა ტრადიციებს ატარებს, თუ მისი სიცოცხლე აღმოჩნდება უშუალო საფრთხის წინაშე, იგი უფლებამოსილია გამოიყენოს თავდაცვის უფლება.²⁸

²⁵ ლომსაძე მ. დასახ. ნაშრომი, გამომც. უნივერსალი, თბ., 2012, გვ. 93

²⁶ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, საზოგადოებრივი საშიშროების გამორიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, გამომც. მეცნიერება თბ. 1988, გვ. 46

²⁷ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გამომც. მერიდიანი თბ. 1988, გვ. 114

²⁸ John J. Merriam, Natural law and Self-Defense, 2010, vol 206, 44 იბ.

<https://poseidon01.ssrn.com/delivery.php?ID=134094121066113087065075080088110120021087025040030006018105091106125082029070100023027001056044123040017071003076007112017094102008032018048089104096104115004082067086040078017086100081115102121004103088070084069095115121084026119116005116100108122096&EXT=pdf>

აუცილებელი მოგერიების ინსტიტუტი მრავალი საუკუნის წინ ჩამოყალიბდა. შესაბამისად, მას განვითარების საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. “აუცილებელი მოგერება, სისხლის სამართლის სხვა ინსტიტუტების მსგავსად, წარმოიშვა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობასთან ერთად და ვითარდებოდა სახელმწიფოებრივი და სოციალური ხასიათის მთელი რიგი პირობების გათვალისწინებით.”²⁹ ამ ინსტიტუტის ფესვები ბუნებითი სამართლის არსებობიდან იღებს სათავეს. ბუნებრივია, თანდათანობით იცვლებოდა აუცილებელი მოგერიების ცნება. აღნიშნული დამოკიდებული იყო სხვადასხვა ფაქტორებზე. მაგ., რა პოლიტიკით იმართებოდა სახელმწიფო და ა.შ.

გერმანელი პროფესორების ნაწილს აქვს გამოთქმული მოსაზრება, რომ აუცილებელ მოგერიებას არ აქვს ისტორია. მათ შორის იყო პროფესორი ლისტი.³⁰

უნდა აღინიშნოს პროფესორი ნ. რეინგარდტი, რომელიც მართებულად აკრიტიკებს პროფესორ ლისტს და ამბობს, რომ აუცილებელ მოგერიებას აქვს თავისი ისტორია და ეს საკმაოდ დიდი ხნის წინ იღებს სათავეს.³¹

აუცილებელი მოგერიების უფლება, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება, უძველესი დროიდან არსებობს. იგი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველ რომში. ასევე ძველი რომაელი ორატორი, ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე მარკუს ტულიუს ციცერონი ამბობდა: „თუ ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე, ძალადობა, ყაჩაღობა ან მტრის იარაღი ემუქრება, მაშინ დაცვის ყველა საშუალება გამართლებულია. დაე, კანონი დადუმდეს იარაღის ქლარუნში და ნუ მოგვთხოვენ ველოდოთ მას, თუკი ის ვინც კანონს დაელოდება, უფრო ადრე გახდება უკანონობის მსხვერპლი, ვიდრე სხვას კანონით დათრგუნავდეს.”³² მართალია ციცერონი უშუალოდ არ საუბრობს აუცილებელ მოგერიებაზე, თუმცა თავდაცვის უფლება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას სხვა არაფერია თუ არა აუცილებელი მოგერიება. ციცერონის აზრით, თავდაცვის უფლება, ბუნებრივი თანდაყოლილი უფლებაა და სახელმწიფომ მხოლოდ უნდა აღიაროს პირის ეს უფლება.

1921 წლის 25 თებერვალი ერთ-ერთი ტრაგიკული თარიღია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ბუნებრივია, საბჭოთა კავშირის

²⁹ ხერხეულიძე, ი. დასახ. ნაშრომი, თბ.-ის უნივერსიტეტის გამომც. თბ., 2008, გვ. 11

³⁰ იქვე, გვ. 11

³¹ იქვე, გვ. 11

³² საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, იხ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12559>

„ხელი” ყველა სფეროს შეეხო. არც სასამართლო ხელისუფლება ყოფილა გამონაკლისი. სასამართლო რეფორმა საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე სულ სამჯერ განხორციელდა.³³ შედეგად მიღებულ იქნა საბჭოთა საქართველოს 1922, 1928 და 1960 წლების სისხლის სამართლის კოდექსები. საბჭოთა კავშირში, მოსამართლეები უშუალოდ და განუყოფლად იყვნენ დაქვემდებარებულები პარტიულ მმართველობას.³⁴

მეცნიერ-იურისტთა მიერ აღიარებულია, რომ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, წინა ორ კოდექსთან შედარებით გაცილებით ჰუმანური და პროგრესული იყო. აღნიშნულ კოდექსში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზეზებს საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხველი გარემოებები ეწოდებოდა.³⁵ მათ შორის იყო აუცილებელი მოგერიება, თუმცა გარკვეული პირობების დაცვით. კერძოდ: „ხელყოფის საზოგადოებრივი საშიშროება, საზოგადოებრივად საშიში ხელყოფის იმწუთიერება და ხელყოფის ნამდვილობა.”³⁶

ადრეულ ანგლო-ამერიკული სამართალიც იცნობდა აუცილებელი მოგერიების ცნებას. ინგლისურ საერთო სამართალში, პირი თუ თავს იცავდა თავდასხმისგან ასეთ შემთხვევას ეწოდებოდა *Se defendendo*.³⁷ თუმცა თავდამცველს გარკვეული პასუხისმგებლობა ენიჭებოდა. დროთა განმავლობაში *Se defendendo*-ომ მოდიფიკაცია განიცადა.

დღესდღეობით ანგლო-ამერიკულ სამართალში გამოიყენება ტერმინი *Self-defense*, რომელიც აუცილებელი მოგერიების, თავდაცვის შინაარს ატარებს. იგი გამოიყენება როგორც სისხლის სამართალში, ასევე საერთაშორისო სამართალში.

Self-defense კონცეფცია აღიარებულია როგორც საერთაშორისო სამართალში, ასევე შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. აუცილებელი მოგერიების უფლებით, ადამიანი სარგებლობს, როგორც შიდა კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლის მიხედვითაც. დერეკ ვ. ბოვეტი წერდა, აუცილებელი მოგერიების უფლება ყოველთვის ნებადართულია საერთაშორისო

³³ ხერხეულიძე, ი. დასახ. ნაშრომი, თბ.-ის უნივერსიტეტის გამომც. თბ., 2008, გვ. 17

³⁴ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, იხ. <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-1-10-ka-50---20-about--00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.20&d=HASH9b54a0427141d721f4f98a.8.4>1>

³⁵ საქართველოს სსკ, 1960 წელი

³⁶ ხერხეულიძე, ი. დასახ. ნაშრომი, თბ.-ის უნივერსიტეტის გამომც. თბ., 2008, გვ. 17

³⁷ ხერხეულიძე, ი. დასახ. ნაშრომი, თბ.-ის უნივერსიტეტის გამომც. თბ., 2008, გვ. 11

სამართალში.³⁸ საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის იცნობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლებს. აღსანიშნავია, საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, რომლის 31-ე მუხლი ეძღვნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ საფუძვლებს.³⁹

აუცილებელი მოგერიების ცნების ისტორიული განვითარების შედეგად მიღებული შინაარსი, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში იდენტურია. საერთაშორისო თუ ეროვნულ კანონმდებლობაში, აღიარებული თავდაცვის უფლება, თუ მასზე ხდება მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა, თანაც იმ პირობით, რომ თუ გარკვეული თანაფარდობა იქნება დაცული თავდასხმასა და მოგერიებას შორის, თავდამცველი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება

თავი 3. აუცილებელი მოგერიების ნიშნები

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აუცილებელი მოგერიება შედგება სამი ნიშნისგან. აუცილებელი მოგერიების პირველი ნიშანია: უკიდურესი მდგომარეობა, რომელიც შედგება სამი კომპონენტისგან: „სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, ხელყოფის იმწუთიერობა და ხელყოფის მართლწინააღმდეგობა, რაც, შესაბამისად, გულისხმობს ხელყოფის რეალურ (ობიექტურ) ხასიათს.“⁴⁰ აუცილებელი მოგერიების მეორე ნიშანია: უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება, რაც გულისხმობს, რომ იგი მიმართული უნდა იყოს თავდაცვითი ქმედებისკენ. რაც შეეხება მესამე ნიშანს, იგი გულისხმობს აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ნიშნის არსებობას, თავდამცველმა უნდა იცოდეს, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და მას უნდა ჰქონდეს სურვილი დაიცვას თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთე.

თავი. 3.1 უკიდურესი მდგომარეობა

საქართველოს სსკ-ის მიხედვით, აუცილებელი მოგერიების ვითარების პირველი პირობა ხელყოფის მართლწინააღმდეგობაა. „თანამედროვე ქართულ სისხლის სამართალში ხელყოფის მართლწინააღმდეგობა გულისხმობს იმას, რომ იგი

³⁸ Derek W. Bowett, Self-defense in international law, 4, 1958 იხ. https://books.google.ge/books?id=v-T9iZ-ujcC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false

³⁹ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 1998 წლის 17 ივლისი იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi-axali2.pdf>

⁴⁰ ტურავა მ. დასახ. ნაშრომი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2013, გვ. 175

ეწინააღმდეგება ცივილიზებულ სახელმწიფოთა კულტურის ნორმებით დადგენილ მართლწესრიგს.”⁴¹ ისმის კითხვა, რა ხარისხის უნდა იყოს ხელყოფა, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება წარმოიშვას? ეხება ის ნებისმიერი სახის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას თუ მხოლოდ ისეთს, რომელსაც მაღალი მართლწინააღმდეგობის ხარისხი აქვს? სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ერთხმად თანხმდება, რომ აუცილებელი მოგერიების უფლება წარმოიშვება მხოლოდ ისეთი ხელყოფის შემთხვევაში, რომელსაც მაღალი ხარისხის მართლწინააღმდეგობა ახასიათებს. ამ მსჯელობის დასადასტურებლად გამოდგება კაზუსი ვაშლის ქურდის შესახებ. ირაკლი ჩუმად შეიპარა სოსოს ბაღში და იპარავდა სოსოს ბაღის ვაშლს, ამით აღშფოთებული სოსო სანადირო თოფიდან ესვრის მას და კლავს. ⁴² ამ შემთხვევაში, სოსო თავს ვერ გაიმართლებს, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხელყოფა უნდა იყოს გარკვეული სოციალური მნიშვნელობის. საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდება ის, ვინც ძალზე უმნიშვნელო ფორმით ხელყოფს სისხლის სამართლის ნორმით დაცულ სიკეთეს.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის იმწუთიერება გულისხმობს, რომ თავდასხმა დაწყების პროცესშია, ან უკვე დაწყებულია ან მიმდინარეობს. აუცილებელი მოგერიება ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოცენებული მდგომარეობაა. მერაბ ტურავას აზრით, ე.წ. პრევენციული აუცილებელი მოგერიება არ არის ნებადართული, რადგან ხელყოფა არ არის იმწუთიერი.⁴³ ვითარება შეიცვლება თუ სახეზეა თავდასხმის რეალური პირობები, მაგალითად გიორგი ხედავს, რომ მას უცნობი მამაკაცი ცეცხლსასროლ იარაღს უმიზნებს და სადაცაა ესვრის. ასეთ შემთხვევაში, ვერ მოვთხოვთ ადამიანს დაელოდოს თუ როდის ესვრიან მას, ადვილად შესაძლებელია გასროლამ ფატალური შედეგიც გამოიღოს. პეტრე პირველის „სამხედრო არტიკულში“ ნათქვამია: „თავდამცველი პირველ დარტყმას არ უნდა ელოდოს, თორემ შეიძლება ისე მოხდეს, რომ წინააღმდეგობის თავიც აღარ ექნესო.” ⁴⁴ ოთარ გამყრელიძეს, ნაშრომში „სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“, მოჰყავს ასეთი მაგალითი:

⁴¹ ავტორთა კოლექტივი, დასახ. ნაშრომი, თბ., 2016, გამომც. მერიდიანი, გვ. 381

⁴² სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტები (სისხლის სამართალი ტომი 2) თბ., 2010, გვ. 25

⁴³ ტურავა მ. დასახ. ნაშრომი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2013, გვ. 176

⁴⁴ თ. შავგულიძე, ლ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გამომც. მეცნიერება თბ., 1988 გვ. 74

რამდენიმე კაცი ღამით სახლში შევიდა, სადაც იმყოფებოდნენ ცოლ-ქმარი და ქმრის და. მამაკაცებმა მოსთხოვეს ქმარს, მათთვის და გაეტანებინა. ქმარი შეეყოყმანდა, ამ დროს ერთ-ერთმა მოსული მამაკაცებიდან წინ გადადგა ნაბიჯი და ჯიბეში ხელი ჩაიყო. ქმარმა ხელი სტაცა სანადირო თოფს და ადგილზე მოკლა წინ მდგომი მამაკაცი, ხოლო დანარჩენები გაიქცნენ. სასამართლომ მასპინძლის ქმედება შეაფასა, როგორც აუცილებელი მოგერიების ვითარება. მართალია, ხელყოფა არ იყო დაწყებული, მაგრამ ის-ის იყო იწყებოდა. წამით დაგვიანებასაც კი შეეძლო მძიმე შედეგი გამოეწვია ოჯახისთვის, რადგან ხელყოფის განხორციელების რეალური საფრთხე არსებობდა.⁴⁵

ამერიკის შეერთებული შტატების უზენესი სასამართლო საქმეში MORAN v OHIO, განმარტავს, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დამტკიცება სხვა ყველაფერთან ერთად, მოითხოვს მტკიცებულებას, რომ ბრალდებული (თავდამცველი) გარდაუვალი სიკვდილის საფრთხის წინაშე იყო ან სხეულის მძიმე დაზიანებას მიიღებდა. ⁴⁶ ვფიქრობ, ეს შემთხვევა სწორედ ხელყოფის იმწუთიერებას გულისხმობს, რადგან პირი თუ არ იმოქმედებს გარდაუვალი იქნება მძიმე შედეგი.

ხელყოფის რეალურობასთან დაკავშირებით განვიხილოთ მაგალითი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან. ზ. ი.-მ ე. ჩ.-ს დაუწყო გინება, ემუქრებოდა ცხვრების წართმევითა და იწევდა მისკენ საცემრად. იქ მყოფი მწყემსები ჩაერივნენ და მოახაერხეს მათი გაშველება. განაწყენებული ე. ჩ. გაემართა თავისი ფერმისკენ, აიღო სანადირო თოფი და დაბრუნდა იმ ადგილას, სადაც ზ. ი. ეგულებოდა. მან შეამჩნია, რომ ზ. ი. მისკენ ჩხუბითა და გინებით მოემართებოდა. ე. ჩ.-მ დაუმიზნა თოფი და ერთხელ ისროლა მისი მისამართით. ტყვია მოხვდა გულ-მკერდის არეში და მიიღო სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებები. კერძოდ, გულის მთლიანობის დარღვევისა და გულმკერდის ღრუს ორგანოების მრავლობითი დაზიანებით განვითარებული მწვავე სისხლნაკლებობის შედეგად ზ.ი ადგილზე გარდაიცვალა. ე. ჩ. კი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ზ. ი.-ს მიერ მუქარა მხოლოდ სიტყვიერად იყო გამოხატული და რეალურად განხორციელებისკენ არ იყო მიმართული, იმ ვითარებაში. შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ ხელყოფა არ იყო რეალური

⁴⁵ გამყრელიძე ო. 2005. დასახ. ნაშრომი, გამომც. საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბ. გვ.217-218

⁴⁶ MORAN v OHIO (1984) NO 83-6759 იხ. <https://caselaw.findlaw.com/us-supreme-court/469/948.html>

და იმ წუთიერი. სისხლის სამართლის პალატამ იმსჯელა, რომ ე.ჩ.-ს შეეძლო შეერჩია უფრო ნაკლებად საზიანო საშუალება თავის დასაცავად, თუ ზ. ი. მას თავს კვლავ დაესხმებოდა. საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დაადგინა, რომ საქმეში მოიპოვებოდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც დასტურდებოდა რომ ე.ჩ.-მ ნამდვილად ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (განზრახ მკვლელობა) და არა მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, რაზეც დაცვის მხარე აპელირებდა. ამ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა ე.ჩ.-ს მიმართ, არ იყო რეალური და იმწუთიერი, შესაბამისად, მსჯავრდებული არ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.⁴⁷ სიტუაცია რადიკალურად შეიცვლებოდა, თუ ზ. ი. ისევ თავს დაესხმებოდა და დაიწყებდა მუქარის რეალურად განხორციელებას, მაშინ მსჯავრდებული აღმოჩნდებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა მის მიმართ იქნებოდა რეალური და იმწუთიერი.

მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა როგორც წესი, მოქმედებით ხორციელდება, თუმცა ეს არ გამორიცხავს მის უმოქმედობით ჩადენას.⁴⁸ მაგალითად, ნიკამ თავის აგარაკზე სავახშმოდ დაპატიჟა ნინო, ვახშმის შემდეგ, როდესაც ნინომ სახლში გადაწყვიტა წასვლა, აღმოაჩინა, რომ აგარაკის კარი ჩაკეტილი იყო და ნიკა მას აღარ უშვებდა. ნინოს სრული უფლება აქვს გამოიყენოს აუცილებელი მოგერიების უფლება და ნიკასთვის ზიანის მიყენების შედეგად გაითავისუფლოს თავი.

საქართველოს სსკ-ში არსებობს ისეთი დანაშაულები, რომლებიც დამთავრებულად ითვლება ქმედების შემადგენლობის ნიშნის განხორციელების მომენტიდან. ასეთ დანაშაულებს ფორმალური დანაშაულები ეწოდება. მაგალითად, ყაჩაღობა. იურიდიულად დანაშაული დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, თუმცა რეალურად შეიძლება გარკვეულ დროის განმავლობაში გაგრძელდეს. მართებულად წერს მერაბ ტურავა, რომ ასეთ შემთხვევებში, აუცილებელი მოგერიების უფლება დანაშაულის რეალურად

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 დეკემბრის განჩინება, N 698აპ-10

⁴⁸ ვესელისი ი. ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 38 გადამუშავებული გამოც., თბ.-ის უნივერსიტეტის გამომც., 2012, გვ. 180

დასრულებამდე არსებობს.⁴⁹ საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ხელმოწერის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმოწერის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა. იგულისხმება შემთხვევა, როდესაც თავდამსხმელს ცხელ კვალზე მისდევენ, რათა დაიბრუნონ წართმეული სამართლებრივი სიკეთე.

3.2 უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება

აუცილებელი მოგერიების მეორე ნიშანი - უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება გულისხმობს, რომ მომგერიებლის მიერ მიღებული თავდაცვის ზომები, თავდასხმის ხასიათისა და საშიშროების შესაბამისი უნდა იყოს. „სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვის” სახელმძღვანელოში მერაბ ტურავა წერს: „არ შეიძლება, მაგალითად, ადამიანს სიცოცხლე მოუსპო ან მძიმე დაზიანება მიაყენო, იმ შემთხვევაში, როცა აშკარად შესაძლებელია თავდაცვის განხორციელება შედარებით უფრო ნაკლები ზიანის მიყენების გზით.”⁵⁰ თავდამცველის ქმედებაში გამოვლენილი ძალადობის ხარისხი, შეიძლება ერთგვარი კრიტერიუმიც კი გახდეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის ფარგლების გადაცილებაზე, ან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დამაფუძნებელი გარემოებების არცოდნაზე ან კონკრეტული დანაშაულის განხორციელების განზრახვაზე.

საქმეში STATE v. ROBBINS, აშშ-ის უზენესი სასამართლო, განმარტავს, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მკვლელი (თავდამცველი) კეთილსინდისიერად ვარაუდობს, რომ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება სერიოზული საშიშროება და თავდასხმელისგან მომდინარე საფრთხისგან თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალება ისეთი ძალის გამოყენებაა, რომელიც გამოიწვევს თავდამსხმელის სიკვდილს.⁵¹ ჩემი აზრით, აშშ-ის უზენესი სასამართლო, ამ შემთხვევაში, მიუთითებს სწორედ, თავდასხმისა და თავდაცვის პროპორციულობაზე.

საქართველოს უზენესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა 2016 წლის 20 მაისის განაჩენში განმარტავს: „აუცილებელი მოგერიების

⁴⁹ ტურავა მ. დასახ. ნაშრომი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2013, გვ. 176

⁵⁰ იქვე, გვ. 177

⁵¹ State v. Robbins 58 Ohio, st. 2d 74 (Ohio 1979) იხ. <https://casetext.com/case/state-v-robbins-22>

მართლზომიერების აუცილებელია, მომგერიებელმა თავდაცვის შედარებით მსუბუქი საშუალება აირჩიოს, თუმცა აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მომგერიებელი ვალდებულია რისკზე წავიდეს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.”⁵²

სასამართლო სწორად მსჯელობს. მოცემულ შემთხვევაში, საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც შედარებით მსუბუქი საშუალებით შეიძლება ხელყოფის აღკვეთა იმავე ეფექტურობით, მაშინ უფრო მიმე საშუალების გამოყენებით სცდება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, რაც საქართველოს სსკ-ის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას.

3.3 თავდაცვის სურვილი

ირაკლი დვალის აზრით, „მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის აცილება ვერ ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად, თუ სხვა პირობებთან ერთად არ არსებობს მომგერიებლის თავდაცვის მიზანი.”⁵³

აუცილებელი მოგერიების მესამე ნიშანი - თავდაცვის სურვილის დროს დგინდება აუცილებელი მოგერიების სუბიექტური ელემენტის არსებობა, კერძოდ, მომგერიებელმა უნდა იცოდეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დამფუძნებელი გარემოებები და უნდა ამოძრავებდეს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი. ⁵⁴ პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და მისი ქმედება მიმართულია თავდაცვისკენ. ვფიქრობ, ყურადსაღებია ასევე კონფლიქტამდე არსებული ვითარების შესწავლა. კერძოდ, რა ურთიერთობა ჰქონდათ ხელმყოფსა და მომგერიებელს? შესაძლებელია მათ შორის ყოფილიყო უთანხმოება და ამის გამო მომგერიებელს ემოქმედა არა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, არამედ შურისძიების მოტივით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენის მიხედვით, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 20 ივნისის განაჩენით, შ. წ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად

⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განაჩენი N593აპ-15

⁵³ დვალის ი., მოტივი და მიზანი ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში, 2007, იხ. <http://www.library.court.ge/upload/motivi%20da%20mizani%20sisxli%20samartalshi.pdf>

⁵⁴ ტურავა მ. დასახ. ნაშრომი, გამომც. მერიდიანი, თბ., 2013, გვ. 176

განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლის ვადით. მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენის მიხედვით, შ. წ.-ს მსჯავრი დაედო, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, არც გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის 22 მარტს შ. წ. და მ. შ. სვამდნენ ღვინოს. ნასვამ მდგომარეობაში მყოფ დაზარალებულს შელაპარაკება მოუვიდა ასევე მთვრალ ბრალდებულთან, რა დროსაც შ. წ.-მ მოკვლის განზრახვით მჭრელი ლითონის იარაღის გამოყენებით ზურგის არეში მიაყენა მრავლობითი ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები. მან დატოვა შემთხვევის ადგილი, დარწმუნებულმა, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა, თუმცა მ. შ. გადაყვანილ იქნა ერთ-ერთ სამედიცინო კლინიკაში და ექიმების კვალიფიციური ჩარევის შედეგად მოხერხდა მისი სიცოცხლის გადარჩენა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 აგვისტოს განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და მისი ქმედების გადაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლზე. ადვოკატმა სასამართლო პროცესზე მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც თავად მსჯავრდებულებს დაეთანხმა. პროკურორმა იშუამდგომლა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 21 აგვისტოს განაჩენი დარჩენილიყო უცვლელად. საკასაციო პალატამ გაიზიარა მსჯავრდებულის პოზიცია, კერძოდ, ჩათვალა, რომ იგი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და მან მართლაც გადააცალა კანონით გადაცილებული დაცვის ფარგლებს. საქმის მასალების მიხედვით, კერძოდ, მსჯავრდებულისა და დაზარალებულის, ასევე სხვა მოწმეების ჩვენებებითა და სხვა მტკიცებულებების მიხედვით, დასტურდება კონფლიქტის ფაქტი, რასაც წინ უძღოდა წინა დღეს მთვრალი დაზარალებულის მიერ მსჯავრდებულისთვის შეურაცხყოფის მიყენება. შემთხვევის დღეს, დაზარალებული იყო რა ისევ ნასვამ მდგომარეობაში, ეძებდა პარტნიორს, რათა მასთან ერთად დაეღია ღვინო. იგი შეხვდა მ. შ.-ს და უარის შემდეგ, საბოლოოდ დაითანხმა მასთან ერთად ღვინის დაღევაზე. მათ დაღევა დაიწყეს მიტოვებულ ბინაში. მსჯავრდებულმა დააპირა წამოსვლა, რადგან სამსახურში ეჩქარებოდა, ამაზე გაბრაზდა დაზარალებული და დაუწყო ცემა. პალატამ სარწმუნოდ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია დაზარალებულს, რადგან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულს წინიდან არცერთი ჭრილობა არ აღენიშნებოდა,

მკვლევლობის განზრახვა რომ ჰქონოდა მას შეეძლო წინიდანაც დაერტყა დანა. ხოლო მსჯავრდებული საკმაოდ დაზიანებული იყო, რაც მ. შ.-ს ფიზიკურ უპირატესობაზე მითითებდა. პალატამ გაიზიარა მსჯავრდებული ჩვენება, ხოლო დაზარალებულის არა, რადგან იგი ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას აწვდიდა სასამართლოს, ზოგიერთ მომენტზე იმახდა რომ არ ახსოვდა. საქმის მასალების მიხედვით, ასევე არ დადგინდა მსჯავრდებულის სიმთვრალის ფაქტი, ხოლო დაზარალებული ძალიან მთვრალი იყო. საქმის მასალების შეფასების შედეგად, საკასაციო პალატამ დაასკვნა: „სააპელაციო სასამართლომ სარწმუნოდ დადგინო ფაქტობრივ გარემოებებს მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია, როდესაც მსჯავრდებულ შ. წ.-ს ქმედება დააკვალიფიცირა როგორც განზრახ მკვლევლობის მცდელობა, მაშინ როდესაც შ. წ.-მ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.“⁵⁵ შესაბამისად საკასაციო პალატამ გადააკვალიფიცირა საქმე მსჯავრდებულის სასარგებლოდ აღნიშნულ დანაშაულზე.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობასა და თავდაცვის სურვილზე შეიძლება ასევე უთითებდეს მომგერიებლის სურვილი თავი აარიდოს კონფლიქტის გამწვავებას და შეეცადოს სიტუაციის განმუხტვას. ხელყოფის შემდგომ იგი უნდა მოქმედებდეს უფრო თავდაცვით მდგომარეობაში და მისი ქმედებები მიმართული უნდა იყოს თავდამსხმელის განეიტრალებისკენ. მომგერიებლის მიერ ჩადენილი ქმედებანი, ადეკვატურად უნდა პასუხობდეს თავდასხმას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინებაში ვკითხულობთ: „არ შეიძლება ადამიანს სიცოცხლე მოუსპო ან მძიმე დაზიანება მიაყენო იმ შემთხვევაში, როცა აშკარად შესაძლებელია თავდაცვის განხორციელება შედარებით უფრო ნაკლები ზიანის მიყენების გზით.“⁵⁶ თუ პირი აღმოჩნდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და თავდაცვის დროს გამოყენებული საშუალება არ შეესაბამება თავდასხმის ხარისხს, შესაძლებელია ჩაითვალოს აუცილებელი მოგერიების გადაცილებად. მართალია, როგორც აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ასევე მისი ფარგლების გადაცილებით ჩადენილი ქმედებისა, თავდაცვის სურვილი ემთხვევა ერთმანეთს.

⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი N 349-12-აპ

⁵⁶ დასახ. განაჩენი, N 593აპ-15

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის განაჩენის მიხედვით, ზ. ც.-სა და ე. ჩ.-ს მოუხდათ კონფლიქტი. მსჯავრდებულმა ე. ჩ.-მ ზ. ც.-ს შვილებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. სწორედ, ამის გამო მივიდა დაზარალებული შემთხვევის ადგილზე, რა დროსაც მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამის შემდეგ დაზარალებული გადავიდა ფიზიკურ შეურაცხყოფაზე ე. ჩ.-ს მიმართ. აღნიშნული დგინდება საქმის მასალების მიხედვით და არც დადაზარალებულმა არ უარყო თავის ჩვენებაში. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მსჯავრდებული მართალია აღმოჩნდა აგრესიისგან თავის დაცვისა და მოგერიების ვითარებაში, მაგრამ თავდასხმა არ იყო ისეთი ინტენსივობის და არ ატარებდა ისეთ საშიშ ხასიათს, რომ მსჯავრდებულს ლითონის ნიჩაბი ჩაერთყა თავის არეში. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ შემთხვევას შეესწრო მოწმე რ. პ. რომელიც ეხმარებოდა მსჯავრდებულს თავდაცვაში. პალატამ, განმარტა, რომ მსჯავრდებულს შეეძლო უფრო ნაკლები საფრთხის შემცველი მოქმედებით მოეგერიებინა თავდამსხმელი. შესაბამისად, მის ქმედებაში დაინახა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება და საქმე გადააკვალიფიცირა კიდეც.⁵⁷

თავი 4. მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით

ვინაიდან ამ თავში საუბარია აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლელობაზე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ვრცლად მიმოვიხილო გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. აღნიშნული განაჩენი გადმომიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლომ და ბრალდებული დამნაშავედ ცნო სწორედ საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით.⁵⁸ ვფიქრობ, ამ საქმის დეტალური მიმოხილვის შედეგად, ნათელი გახდება, თუ რა შემთხვევაში მიიჩნევა სასამართლო მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

2015 წლის 11 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილმა განიხილა სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით (ორი ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების გამო.

⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის განაჩენი #278-აპ-12

⁵⁸ მომართვის წერილის თბილისის საქალაქო სასამართლოდან N 1-01190/17515

აღნიშნული განაჩენის მიხედვით, ბრალდებულ ზ.კ.-ს ბრალად ედება განზრახ მკვლელობა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია (ორი ეპიზოდი).

2014 წლის 16 აგვისტოს, დაახლოებით 11 საათზე, ზ.კ.-მ ჩხუბის დროს, გ.ე.-ს და თ.ც.-ს თავის არეში დაარტყა მეტალის საგანი, რითაც ორივე მათგანს მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. ხოლო გ.ხ.-ს ზ.კ.-მ მისთ ხელთ არსებული დანით, მუცლის არეში მიაყენა დაზიანება. მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, იგი სასიკვდილო ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. ამდენად, ბრალდების მხარის მიერ ზ.კ.-ს ქმედებები დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 108-ე და ამავე კოდექსის 120-ე მუხლებით (ორი ეპიზოდი).

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბრალდება ბრალდებულ ზ.კ.-ს ედავებოდა განზრახ მკვლელობასა და ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას (ორი ეპიზოდი) სასამართლომ იგი უდანაშაულოდ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და გაამართლა. თუმცა, იგი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით. ამ საქმის ფაბულას განვიხილავ ვრცლად, რადგან აქ ნათლად ჩანს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციის პრობლემები.

„სასამართლომ, მხარეთა მონაწილეობით, მათი შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საფუძველზე განიხილა ბრალდებულ ზ. კ.-ის ბრალდების საქმე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებულ დანაშაულთა მის მიერ ჩადენა გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდებოდა სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით.“⁵⁹ დაზარალებული გ. ე.- ს ჩვენებით დადგინდა, რომ 2014 წლის 16 აგვისტოს , დილით, მეგობარ გ. ხ.- სთან ერთად იმყოფებოდა ელიავის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე, საიდანაც გადაწყვიტა მისულიყო მის მეზობლად მცხოვრებ თ. ც.- სთან. ერთ-ერთ ქუჩაზე გადაადგილებისას, გზაზე მათ დახვდათ ჩარქმული რკინის ბოძი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობას აფერხებდა. ამ ფაქტმა იგი ძალიან აღაშფოთა, რადგან რამდენიმე დღით ადრე მოძრაობდა გზის ამ მონაკვეთზე ავტომანქანით და რკინის ბოძი არ

⁵⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 მაისის განაჩენი N1/-----14

დაუნახავს. ბოდის დანახვაზე მან შეიგინა და უკუსვლით დაძრა მანქანა, რა დროსაც სატვირთო მანქანის წინა მხრიდან გამოვიდა იმ დროს მისთვის უცნობი მამაკაცი, შემდგომში, ზ. კ., რომელიც იგინებოდა, ხელში ეჭირა რკინის ხელკეტი, მოუახლოვდა მას და ჰკითხა თუ ვისი მიმართულებით იგინებოდა? შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე დაზარალებული მიხვდა, რომ რკინის ბოძი სწორედ ამ მამაკაცის ჩარჭმული უნდა ყოფილიყო, ისიც გადავიდა მანქანიდან და გაემართა ზ. კ.- სკენ რა დროსაც მათ შორის მოხდა შეხლა-შემოხლა. კერძოდ, ზ. კ.-მ ფეხი ჩაარტყა მუცლის მუცელში და რკინის ხელკეტსაც უქნევდა. ხმაურზე მოვარდნენ ქალბატონები, რომლებმაც ზ. კ. გაარიდეს იქაურობას. გ. ე. ჩაჯდა მანქანაში და გ. ხ.- სთან დაიდრა თ. ც.- ს სახლისკენ, რა დროსაც ისევ შეხვდა ზ.კ.- ს და მათ ისევ აგინეს ერთმანეთს. გ. ე. და გ. ხ. მალევე შეხვდნენ თ. ც.- ს. ამ უკანასკნელმა, შენიშნა რა სისხლი თავზე გ. ე.- ს დაინტერესდა თუ რა შეემთხვა. დაზარალებულმა დაქოქა მანქანა და დაიდრა ზ.კ.- ს მიმართულებით, რათა გაერკვია ვინ მისცა რკინის ბოდის ჩარჭობის უფლება გზის სავალ ნაწილზე და ასევე, რატომ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა? მან გზად უამბო მომხდარის შესახებ თ. ც.- ს. ადგილზე მისულმა მოშორებით გააჩერა მანქანა, ყოველიშემთხვევისთვის საბარგულიდან ამოიღო ბოულინგის ჯოხი, ჩაიღო უკანა ჯიბეში და გაემართა ზ. კ. - სკენ. თავდაპირველად, ზ. კ. - სთვის მათი მისვლა შეუმჩნეველი დარჩა, თუმცა მათი დანახვისას ყვირლით გამოიქცა მათკენ, რა დროსაც მარჯვენა ხელში ეჭირა რკინის მილი და დანა. თავადაც, მის მოსაგერიებლად უკანა ჯიბიდან ამოიღო ბოულინგის ხის ფიგურა. იმ ადგილზე იმყოფებოდნენ ასევე ქალები, რომლებიც ცდილობდნენ ზ. კ. - ს დაწყნარებას. თუმცა მან მოახერხა დასხლტომოდა ქალებს და შეძლო რკინის მილის რამდენჯერმე დარტყმა. გ. ე. - მ პირველი დარტყმა ხელზე მიიღო და სავარაუდოდ მაშინ გაეჭრა ხელისგული, მეორე კი თავში მოხვდა, წონასწორობა დაკარგა წონასწორობა და ჩაიკეცა. ვინაიდან ბოულინგის ფიგურა ხელიდან გაუვარდა, მან სიგარეტის კოლოფის ზომის ხელა ქვა თუ ასფალტის ნატეხი ისროლა ზ. კ.-ს მიმართულებით, თუმცა ვერ მოარტყა. წამოდგომა რომ სცადა, ზ. კ.-მ ისევ დაარტყა და გონება დაკარგა. გონზე მოსულმა, მარჯვნივ, დაახლოებით ორ - სამ მეტრში დაინახა თ. ც., რომელსაც თავი ჰქონდა გატეხილი და სახეს სისხლი უფარავდა, ხოლო ფეხზე რომ წამოდგა, დაახლოებით სამი - ოთხი მეტრის მოშორებით, დაინახა გ. ხ., რომელიც მაისურს იწევდა და ამბობდა დამჭრაო. მას მუცელზე ჭრილობა მართლაც ეტყობოდა. მისგან, დაახლოებით ორ მეტრში მყოფ ზ. კ.-ს მარცხენა ხელში დანა ეჭირა და ისევ ქალები აკავებდნენ. მან და თ. ც.-მ დაჭრილი

სასწრაფოდ იქვე მდგარ ტაქსში ჩასვეს და „არამიანცის“ საავადმყოფოში წაიყვანეს. მგზავრობის დროს გ. ხ. გონებაზე იყო და ზ. კ.-ზე ამბობდა რატომ დამჭრაო. საავადმყოფოში მისვლისას, ექიმებმა, გ. ხ. საოპერაციოდ შეიყვანეს, ხოლო გ. ე.-სა და თ. ც.-ს დაზიანებები დაუმუშავეს. მოგვიანებით, მოვიდნენ პოლიციის თანამშრომლები და ისინი გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვაზე. დაზარალებულმა ასევე განმარტა, ზ. კ.-სთან ფიზიკური დაპირისპირების დროს, მისი მეგობრები რას აკეთებდნენ არ დაუნახავს, რადგან მათ წინ იმყოფებოდა სანამ გონებას დაკარგავდა. თუმცა დარწმუნებულია, რომ მათ ხელში არც დანა და არც სხვა რაიმე საგანი არ სჭერიათ.

დაზარალებულმა თ. ც.-მ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ გ. ე. მისი მეგობარია, ხოლო გ. ხ.-ს შემთხვევამდე არ იცნობდა. შემთხვევის დღეს თ. ც.-ს დაუძახა გ. ე.-მ, რადგან უნდა გამოეცვალათ საბურავი მოტოციკლეტისთვის, როგორც მანამდე იყვნენ შეთანხმებულები. მანქანაში რომ ჩაჯდა, იქვე იჯდა იმ დროისთვის მისთვის უცნობი გ. ხ. გ. ე.-ს მარცხენა წარბი ჰქონდა გატეხილი და სისხლი მოსდიოდა, თან აღელვებული იყო. კითხვაზე თუ რა მოხდა, უპასუხა, რომ ქუჩის ბოლოს ჩხუბი მოუვიდა საზამთროს გამყიდველთან, რომელმაც რკინის მილი ჩაარტყა თავში, თან მანქანა დაძრა და გაემართა კონფლიქტის ადგილისკენ. ავტომობილი გააჩერა ცხრა ძმის ქუჩაზე, აღელვებული გადავიდა მანქანიდან და ჩქარი ნაბიჯით გაემართა ქუჩის ბოლოსკენ, დაახლოებით 20-25 მეტრის მოშორებით მდგარი სატვირთო ავტომობილისკენ. მას უკან მიჰყვებოდა გ. ხ. ბოლოს თვითონაც გადავიდა მანქანიდან, გამოეკიდა გ. ე.-ს სთხოვდა გაჩერებას და ახსნას, თუ სად მიდიოდა და რატომ. სატვირთო მანქანის მხრიდან გამოვარდა იმ მომენტისთვის მისთვის უცნობი ზ. კ., ამ დროს ქალებმა დაიწყეს კივილი. გ. ე.-მ კეგლი მოუქნია ზ. კ.-ს თუმცა ვერ მოასწრო, რადგან ამ უკანასკნელმა დაასწრო და რკინის მილი ჩაარტყა თავში, იგი ჩაიკეცა და ხელზე დაეკიდა ზ. კ.-ს. ამის დანახვაზე, თ. ც. მივიდა მათთან და ცდილობდა ზ. კ. მოეცილებინა მისთვის, რადგან მეორედ არ ჩაერტყა რკინის მილი. ამ დროს, მასაც მოხვდა მილი კეფაში, რამაც წონასწორობა დააკარგვინა, ჩაიკეცა, თუმცა გონება არ დაუკარგავს, მაგრამ აზრზე მოსასვლელად დრო დასჭირდა, შემდეგ ადგა და ზ. კ.-სკენ წავიდა საჩხუბრად. ამ დროს გაიგო გ. ხ.-ს ხმა, რომელიც ამბობდა დამჭრაო. მისკენ გახედვისას დაინახა, ჩაკეცილი იყო და მუცელზე ხელები ჰქონდა მიდებული. ზ. კ. მის პირისპირ იდგა, მარჯვენა ხელში რკინის მილი ეჭირა, ხოლო მარცხენაში კი - დიდი ზომის პურის საჭრელი დანა. მიხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან საბრძოლო სპორტით იყო დაკავებული, ვეღარ გაბედა მიახლოება ზ. კ.-სთან. აიღო ქვა და მისი მიმართულებით

ისროლა, თუმცა ააცდინა. მათ შეეშინდათ, რომ სასრაფო დახმარება დაიგვიანებდა, ამიტომ ტაქსში ჩასვეს გ. ხ. და თვითონ გაემართნენ საავადმყოფოსკენ. გზაში გონება არ დაუკარგავს და იგინებოდა და თან კითხულობდა რატომ დამჭრაო. მოწმემ დაკითხვისას განმარტა, რომ უშუალოდ კონფლიქტის დროს, ზ. კ.-ს ეჩხუბებოდა გ. ე., თვითონ სიტუაციის განმუხტვას ცდილობდა, ხოლო გარდაცვლილი დაჭრამდე რაიმე მოქმედებაში არ დაუნახავს.

მოწმე ი. ქ.-მ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას განმარტა, რომ ცხოვრობს შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 20 – 25 მეტრში, მესამე სართულზე. დილის დაახლოებით 11 საათზე აივანზე ფენდა სარეცხს, რა დროსაც შემოესმა გინება. გადაიხედა ქუჩაში და დაინახა ნაცრისფერი მანქანა და უცნობი ბიჭი, რომელიც ამბობდა, ვინ დადგა ეს ბოძიო, რაზეც ზ. კ. ეუბნებოდა მე დავდგეო. უცნობი მანქანაში ჩაჯდა, თან დაემუქრა ზ. კ.-ს., რომ დაბრუნდებოდა, რაზეც ზ. კ.-მ უპასუხა, რომ დაელოდებოდა. მოწმე ი.ქ. სახლში შებრუნდა, დაახლოებით ხუთ წუთში კვლავ გავიდა აივანზე და დაინახა სამი პიროვნება, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით, იმ ადგილისკენ მიიპარებოდნენ სადაც ზ. კ. იმყოფებოდა ოჯახის წევრებთან ერთად. მათი საქციელით მიხვდა, რომ ისინი მოულოდნელად აპირებდნენ თავდასხმას ზ. კ.-ზე. ერთ-ერთ მათგანს, რომელიც სხვებზე წინ იმყოფებოდა ხელში ეჭირა ბეიზბოლის ჯოხის მსგავსი საგანი. ზ. კ. და მისი ოჯახი, გარდა მისი მეუღლისა, ისეთ ადგილზე იმყოფებოდნენ, რომ თავდამსხმელებს ვერ შეამჩნევდნენ. ზ. კ.-ს მეუღლემ ბიჭების დანახვისას შეიკვივლა და ისინი თავს დაესხნენ სავარძელში მჯდომ ზ. კ.-ს. ქალები კიოდნენ და ცდილობდნენ გაეშველებინათ მოჩხუბრები. ხელჩართული ჩხუბი იყო და ვინ ვის ურტყამდა ვერ გაარჩია მოწმემ. იგი იაივნიდან სახლში შებრუნდა და ქუჩაში გავიდა, თუმცა ჩხუბი უკვე დამთავრებული იყო და თავდამსხმელებიც იქ აღარ იყვნენ. დაახლოებით, 2 საათში პოლიციის თნამშრომლები მოვიდნენ და მათგან შეიტყო მან, რომ მკვლელობა მომხდარა. ი. ქ.-მ დაკითხვისას თქვა, რომ კონფლიქტს შეესწრო მხოლოდ 2 – 3 წამით, რა დროსაც არ დაუნახავს ვინმესთვის თავში ჩარტყმის ან მიწაზე დაცემის მომენტების, ასევე მისთვის შეუმჩნეველი დაჩა ეჭირა თუ არა ზ. კ.-ს ხელში რაიმე საგანი.

თავდასხმის ფაქტს ადასტურებს ასევე მოწმე ს. ნ.-ს ჩვენება. მან სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ 2014 წლის 16 აგვისტოს, დაახლოებით 12 საათისთვის, სახლიდან გავიდა ზ. კ.-სგან საზამთროს საყიდლად. ადგილზე მისულს დახვდა მისი მეუღლე, დედა და ქალიშვილი. ყველა განერვიულებული ჩანდა. მან

იკითხა თუ რაში იყო საქმე, რაზედაც მიუგეს, რომ ზედანუბნიდან ჩამოსულმა ბიჭებმა ასფალტში ჩარჭობილი ბომბის გამო აგინეს ზ. კ.-ს და მუქარით წავიდნენო. იგი იქვე მდებარე სავარძელში იჯდა თავჩალუნული. მისი მისვლიდან დაახლოებით 3 – 5 წუთში ზ. კ.-ს მეუღლემ შეიკვივლა, რა დროსაც ს. ნ.-მ მარჯვენა მხრიდან ძლიერი დარტყმა იგრძნო ჯერ მხარზე, შემდეგ კი ბეჭებში, მერე მარცხენა მხრიდან ვიღაც შეეჯახა, რის შედეგადაც ასფალტზე დაეცა. დარტყმამ გააბრუა, დაცემის შედეგად დაუზიანდა მუხლები და იდაყვები, რის გამოც წამოდგა და კონფლიქტის ადგილს გამოერიდა, სახლში შევიდა. მან მოგვიანებით შეიტყო მისი წასვლის შემდეგ მომხდარის შესახებ.

ბრალდებულის მეუღლემ, მოწმე მ. კ.-მ, სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას განმარტა, რომ 2014 წლის 16 აგვისტოს იმყოფებოდა სახლში მეუღლესთან, ქალიშვილთან და დედამთილთან ერთად. მისი მეუღლე ზ. კ. დილის დაახლოებით 10 საათზე გავიდა სახლიდან ქუჩაში სადაც საზამთროს ყიდდა. დაახლოებით საათ ნახევარში ოჯახის წევრებს შემოესმათ ქუჩიდან გინების ხმა, ისინი გარეთ გავიდნენ და ზ. კ.-სგან შეიტყვეს, რომ უცნობ ბიჭებთან ასფალტში ჩარჭობილი რკინის მილის გამო მოუვიდა შელაპარაკება. ამ დროს გამოიარა ნაცრისფერმა მანქანამ, საიდანაც იმ დროისთვის მისთვის უცნობმა გ. ე.-მ მის მეუღლეს მოაძახა, დამელოდე, ბიჭებს მოვიყვან და ორ წუთში „ტრუპი“ იქნებიო. ამის გაგონებაზე ზ. კ. წამოდგა სავარძლიდან, თუმცა მანქანა წავიდა. ამ ფაქტმა ძალიან ააღლევა ბრალდებულის ოჯახის წევრები და მათ სთხოვეს შესულიყო სახლში, თუმცა მან თქვა, რომ არაფერი დაუშავებია და საშიშროებაც არ არსებობდა. ბრალდებულის მეუღლე მომხდარის შესახებ უყვებოდა მათ მეზობელ ს. ნ.-ს, რომელიც საზამთროს საყიდლად იყო მისული. ამ დროს მან დაინახა, რომ მათკენ ფეხაკრეფით, ერთმანეთის მიყოლებით მოიპარებოდნენ ბიჭები. წინ მოდიოდა გ. ე. რომელსაც ხელში ბოულინგის ჯოხი და ქვა ეკავა. მას უკან მოჰყვებოდა თ. ც., რომელსაც აგური ეჭირა ხელში და გ. ხ., რომელსაც მარჯვენა ხელში გრძელი, წვრილი დანა, ხოლო მარცხენაში ქვა ეკავა. მათ დანახვაზე მოწმე მ. კ.-მ შეჰკვივლა, თავს უშველეთო, ამ მომენტში უკვე ძალიან ახლოს იყვნენ თავდამსხმელები და ზ. კ.-ს მისამართით მოქნეული ჯოხი მოხვდა ს. ნ.-ს. შემდეგ მოხვდა ზ. კ.-ს ხელზე, იმ ადგილში სადაც სიმსივნური ჰემატომა აქვს. გაჭირვებით წამოდგა და რკინის მილით დაიწყო თავის დაცვა. მოწმემ განმარტა, რომ გ. ხ. რა ვითარებაში და ვის მიერ იქნა დაჭრილი არ დაუნახავს.

ბრალდებულის ქალიშვილისა და დედის ჩვენებები იდენტურია მისი მეუღლის ჩვენებისა, ამიტომ მათ განხილვაზე აღარ შევჩერდები.

ბრალდებულმა ზ. კ.-მ სასამართლო სსხდომაზე წარდგენილ ბრადებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და ითხოვა გამართლება. დაკითხვისას განმარტა, რომ შემთხვევის დღეს ყიდიდა საზამთროს. შემოემსა გინება ასფალტში რკინის ბოძის ჩამსობის მიმართ, რადგან მანქანამ სვლა ვეღარ განაგრძო. იგი დაინტერესდა თუ ვინ აგინებდა და წავიდა მანქანის მიმართულებით. მანქანაში დახვდა ორი პიროვნება, რომლებსაც უთხრა, რომ ბოძი მისი ჩარქობილი იყო. ამჯერად კონკრეტულად მისი გინება მოჰყვა. მან გინებას გინებითვე უპასუხა. მძღოლი გ. ე. გადმოხტა მანქანიდან და მისი მიმართულებით გაქანდა. ბრალდებულმა იქვე დაგდებულ რკინის მიკს მოჰკიდა ხელი, თუმცა დასარტყმელად ვერ გაიმეტა და ხელ-ფეხით სცადა მისი მოგერიება. გ. ე.-მ მოქნეული ფეხი დაუჭირა და მისი წაქცევა მოინდომა. ბრალდებული იძულებული გახდა რკინის მილი ჩაერთყა მისთვის. ამ დროს მანქანიდან მეორე პიროვნება გადმოვიდა და ისიც საჩხუბრად გამოემართა. ზ. კ. თავდამსხმელებს სთხოვდა თავი დაენებებინათ მისთვის, რადგან მათთან ჩხუბი არ სურდა. ამ დროს ხმაურის გამო გარეთ გამოვიდნენ ბრალდებულის ოჯახის წევრები. მათ დანახვაზე წავიდნენ გ. ე. და თ. ც. დაახლოებით ორ წუთში, იგივე მანქანამ გამოიარა, გ. ე.-მ აგინა და დაემუქრა ზ. კ.-ს. იყო საპასუხო გინებაც. მათი მეზობელი ს. ნ. იყო მისული საზამთროს საყიდლად, მას ზ. კ.-ს ოჯახის წევრები უყვებოდნენ მომხდარის შესახებ, თვითონ ბრალდებული კი სავარძელში იჯდა. მეუღლის დაკივლებაზე ამოიხედა და დაინახა მისკენ გამოვარდნილი გ. ე. მან იქვე მდგარი ყუთიდან რკინის მილს სტაცა ხელი და დანაც ამოჰყვა. იგი ვიწრო ადგილზე იყო, რის გამოც არ ჰქონდა მოძრაობის საშუალება, ამიტომ უფრო გაშლილი ადგილისკენ გაიქცა. უკან რომ მოიხედა დაინახა გ. ე.-ს ხელში ჯოხი ეჭირა, დანარჩენებს კი - ქვები. ისინი განაგრძობდნენ თავდასხმას, პირველად ჯოხი ხელში მოხვდა, ხოლო მეორედ სახეში იგრძნო ჯოხის თუ ქვის დარტყმა. იგი იგერიებდა მათ და თან უკან-უკან სვლით გზის მეორე მხარეს იწევდა. ვინაიდან თავდამსხმელები თავს არ ანებებდნენ, დანარ მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა და რკინის მილით იგერიებდა მათ დარტყმებს. ბოლოს, როცა უკან დასახევი აღარ ჰქონდა გ. ხ.-მ ორჯერ მოუქნია დანა, მაგრამ მან გაწევა მოასწრო და მხოლოდ ოდნავ შეეხო. გ. ხ.-მ მისკენ რომ გადადგანაბიჯი, თვითონაც შესაშინებლად მოუქნია დანა. მიხვდა რომ დაჭრა, თუმცა ვერ წარმოიდგენდა, რომ სერიოზულად დააზიანა. ამ დროს თავდასხმა შეწყვიტეს ბიჭებმა და ზ. კ. გზის მეორე მხარეს

დაბრუნდა. დაინახა, რომ გ. ხ.-მ მაისური აიწია და თქვა, დაჭრილი ვარო. თავდამსხმელებმა რაღაცაზე ისაუბრეს და წავიდნენ. ბრალდებულები სახლში ავიდა, რადგან თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. ამასობაში პოლიციის თანამშრომლებიც მოვიდნენ და დააკავეს ზ. კ. ბრალდებულის სახით. მან დაკითხვისას ასევე განმარტა, რომ ჩხუბის დროს გ. ე. და მისი მეგობრები ურტყამდნენ ხელ-ფეხს და ჯოხს, ხან კი ქვებსაც ესროდნენ, რის გამოც შემდეგ სახის, ხელისა და ბეჭის არეში ტკივილები აწუხებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის N0.. დასკვნის შესახებ, რომლის თანახმად, ზ. კ.-ს სხეულზე არსებული დაზიანებები ნაჭდევების და სისხლნაჟღენთების სახით მიყენებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით, ეკუთვნის მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან საქმის გარემოებებში მითითებულ თარიღს - 2014 წლის 16 აგვისტოს. სასამართლო სხდომაზე, ექსპერტ დ. გ.-ს მიერ, დაკითხვის დროს დადასტურებული იქნა მის მიერ გაცემული ზემოთ აღნიშნული დასკვნის სისწორე.

აღნიშნული განაჩენის მიხედვით, გამოძიების ეტაპზე ჩატარდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომლებიც გამოკვლეული იქნა საქმის არსებითი განხილვის დროს. აღარ შეეჩერებინა მათ დეტალურ განხილვაზე. აღნიშნავ მხოლოდ სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის N0.. დასკვნას, რომლის თანახმადაც ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ზ. კ. არ იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში და ასევე შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის. იგი იყო შერაცხადი.

„სასამართლომ ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა რა საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი, საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის, ბრალდებულ ზ. კ.-ს დამნაშავედ ცნობისთვის საკმარისობის თვალსაზრისით, მივიდა დასკვნამდე, რომ ბრალდების მხარის წარმოდგენილი მტკიცებულებები ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლის მიერ, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის დაწესებულ, გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, მაღალ სამართლებრივ სტანდარტს, რაც სასამართლოს დაარწმუნებდა ბრალდებულის მიერ საქართველოს სსკ-ის 108-ე და 120-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.“⁶⁰

⁶⁰ დასახ. 2015 წლის 11 მაისის განაჩენი N1/-----14

საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე, კერძოდ, დაზარალებულთა ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნებით და თავად ბრალდებულის აღიარებით, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებულმა გ. ხ. დანით დაჭრა, ხოლო გ. ე.-სა და თ. ც.-ს ლითონის მილის დარტყმით მიაყენა დაზიანებები, რამაც მათი ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა გამოიწვია. ამავე დროს სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ქმედების ჩადენის დროს ზ. კ. იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

სასამართლოს შეფასებით, კონფლიქტის პირველ ეპიზოდი დასრულდა მაშინ, როდესაც გ. ე. და თ. ც. წავიდნენ მანქანით ზ. კ.-სგან და თან დაემუქრნენ, რომ კვლავ დაბრუნდებოდნენ.

ასევე დადგინდა ისიც, რომ გ. ე. თ. ც. და გ. ხ. კვლავ დაბრუნდნენ შემთხვევის ადგილზე. გ. ე.-ს თან ჰქონდა ბოულინგის კეგლი. რაც შეეხება სხვა თავდამსხმელებს, მათი ქვებითა და აგურებით აღჭურვა ვერ იქნა დადგენილი უტყუარად. აგრეთვე გ. ხ.-ს მიერ დანის ფლობის ფაქტი. ამაზა აპელირებდნენ მხოლოდ ბრალდებულის ოჯახის წევრები. სხვა ნეიტრალური მოწმეთა ჩვენებებიდან ვერ დადასტურდა აღნიშნული ინფორმაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ თავდამსხმელები მიპარვით ცდილობდნენ თავდასხმას. მათი მიპარვით მისვლა, მოულოდნელი თავდასხმა, თანმხლებ პირთა რიცხოვნობა აღჭურვა ბოულინგის კეგლით, ზ. კ.-ს მიერ აღქმული იქნა როგორც საფრთხე მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, რამაც განაპირობა მის მიერ თავდაცვის მიზნით ლითონის მილისა და დანის მომარჯვება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩხუბის დროს ბრალდებულს რკინის მილი ეჭირა მარჯვენა ხელში, დანა - მარცხენა ხელში, ამავდროულად იგი არ არის ცაცია. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. კ.-ს მემარჯვენეობის გათვალისწინებით, გარკვეულწილად, ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი ორიენტირებული იყო არა დანის გამოყენებასა და თავდამსხმელის მოკვლაზე, არამედ თავდაცვაზე. აღნიშნული გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის.

სასამართლო დასაბუთების დროს იყენებს ასევე საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველ, მეორე და მეოთხე ნაწილებს, ამ უკანასკნელი ნაწილის თანახმად, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან. სასამართლომ მიიჩნია, რომ მართალია ზ. კ. იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, თუმცა გ. ხ.-ს დანით

დაჭრისას, რასაც ამ უკანასკნელის სიკვდილი მოჰყვა, იგი გასცდა თავდაცვის მართლზომიერების საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებს, ვინაიდან თავდასხმის მოსაგერიებლად, მის მიერ დანის გამოყენება აშკარად არ შეესაბამებოდა მასზე განხორციელებული თავდასხმის საშიშროებას.

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაზიანების ეპიზოდებს, სასამართლომ იგი გაამართლა, რადგან ჩათვალა რომ ბრალდებული იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. „თავდაცვით მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ სხვა პირთა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება კი სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი არ არის“⁶¹

ზ. კ.-ს ქმედებას, რომელიც ბრალდების მხარემ დააკვალიფიცირა, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით, ხოლო სასამართლომ მისცა ახლებური სამართლებრივი შეფასება და ზ. კ.-ს მსჯავრი დაადო საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით გ. ხ.-ს მკვლელობისთვის, რადგან მის მიერ გამოყენებული თავდაცვითი საშუალება აშკარად არ შეესაბამებოდა მასზე განხორციელებული ხელყოფის საშიშროებას.

ზემოაღნიშნული განაჩენის შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ ზ. კ. მართლაც აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბრალდების მხარის პოზიცია, რომ მან მკვლელობა და ჯანმრთელობის მდგომარეობის დაზიანება (ორი ეპიზოდი) ჩაიდინა, არ დადსტურდა საქმის არსებითი განხილვის დროს. შესაბამისად, სასამართლომ სწორად მოიქცა, როდესაც ზ. კ.-ს ქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლზე.

საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლის მიხედვით, მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, - ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.⁶² საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

⁶¹ 2015 წლის 11 მაისის განაჩენი N1/-----14

⁶² დასახ. კოდექსი, 113-ე მუხლი

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადასაცილებლად, სავალდებულოა, რომ პირი იმყოფებოდეს აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, ხოლო შემდეგ უნდა გადააცილოს მას. აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა, ასევე მისი სტრუქტურა და შინაარსი რა შემთხვევებში წარმოიშვება, ზემოთ უკვე განვმარტე და გამეორება რომ აღარ გამოვიდეს, მასზე აქ აღარ შევჩერდები. წარმოვიდგინოთ, რომ პირი უკვე იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, თუ იგი თავისი ქმედებით გადააცილებს აღნიშნულ მდგომარეობას მისი ქმედება დამდაგარი შედეგის მიხედვით დაკვალიფიცირდება, როგორც მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლი) ან ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (საქართველოს სსკ-ის 122-ე მუხლი). ამ ორ დანაშაულს საერთო ის აქვს, რომ ორივე შემთხვევაში, ობიექტი იმყოფება აუცილებელი მოგერიების ვითარებაში და მან თავისი ქმედებით გადააცილა მის ფარგლებს.

„სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილია, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობა მასზე თავდასხმის ხასიეთთან და საშიშროებასთან, დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ისიც მიჩნეულია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.“⁶³ მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის დროს, თავდამცველი იგერიებს ხელმყოფს. მისი ქმედება მიმართულია მხოლოდ თავდაცვისკენ. „რა ინტენსივობისაც არის თავდასხმა, იმ ინტენსივობის უნდა იყოს თავდაცვა. მაგალითად, თუკი თავდამსხმელის მოცილება ხელის კვრითაც შეიძლება, დაუშვებელია მისი სხეულის დაზიანება და სხვა.“⁶⁴ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების დროს სახეზეა განზრახვა, კერძოდ არაპირადპირი განზრახვა, რაც შეეხება გაუფრთხილებლობით მიყენებულ ზიანს, მან არ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁶⁵

⁶³ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწ. წიგნი პირველი, მეექვსე გამოც. გამოც. მერიდიანი, თბ. 2016, გვ 88

⁶⁴ ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკა იხ. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal-00-1-0-10-0-0-0---0prompt-10-...-4---4---0-1|-11-ka-10---10-help-50-00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL4.5&d=HASH01816d540ae7a241ad790c6f.2.6>

⁶⁵ იქვე, 88

თავი 5. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლევლობის სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2011 წლის 9 თებერვლის განჩინების (საქმე N1067-აპ-10) მიხედვით, გ. თ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განაჩენით ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 19 – 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტით, რისთვისაც სასჯელის სახედ განესაზღვრა 17 (ჩვიდმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა. საქმის საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ა. დ.-მ გ. თ.-ს სთხოვა ფულის სესხება შესაძლებლობის ფარგლებში, რაზედაც უარი მიიღო. უარის გამო მათ შელაპარაკება მოუვიდათ. ა. დ.-ს მეგობარი ი. ჩ. მიხვდა რომ შელაპარაკება მალე ჩხუბში გადაიზრდებოდა, ამიტომ შევიდა პოკერ კლუბში და გარეთ გამოიხმო გ. ბ. და მ. ზ. და გემართნენ მათი მიმართულებით. ამ დროს გ. თ.-მ შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოიღო საკეცი დანა, გაშალა და რამდენჯერმე მოუქნია ა. დ.-ს. რის შედეგადაც მას მუცლის არეში მიაყენა სხეულის მძიმე, სიცოცხლისთვის სახიფათო ნაჩხვლექ - ნაკვეთი ჭრილობა და აგრეთვე სხვა დაზიანებები. ა. დ.-ს დასახმარებლად მივიდნენ გ. ბ. და მ. ზ. მათაც მოუქნია დანა რამდენჯერმე მსჯავრდებულმა და დაუზიანა ჯანმრთელობა. დაზარალებულებს ქ. ბათუმის N1 საავადმყოფოში ჩაუტარდათ გადაუდებელი პირველადი სახის დახმარება, თუმცა ა. დ.-ს ჭრილობები სიცოცხლესთან შეუსაბამო აღმოჩნდა და იგი გარდაიცვალა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულის ადვოკატებმა გაასაჩივრეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, შემდეგი მოტივების საფუძველზე: სასამართლომ არ შეაფასა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, აწ გარდაცვლილი და დაზარალებულები ი. ჩ.ს.-თან ერთად მსჯავრდებულის მიმართ ახორციელებდნენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას - ყაჩაღობას, რა დროსაც მის მიმართ იყენებდნენ ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას, რასაც ადასტურებს ობიექტურ მოწმეთა ჩვენებები და სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული ჩანაწერი, სადაც ნათლად ჩანს გ. თ.-ს მიმართ ოთხი პირის მიერ ჩადენილი ქმედება. აღნიშნული მტკიცებულებების ობიექტურად გამოკვლევის ნაცვლად, სასამართლო დაეყრდნო დაზარალებულად ცნობილი პირებისა და ბრალდების მხარის მოწმეების ურთიერთსაპირისპირო ჩვენებებს, რითაც უსაფუძვლოდ

უარყო გ. თ.-ს ჩვენება და ამით ხელი შეუშალა ჭეშმარიტების დადგენას, რამაც საბოლოოდ განაპირობა უკანონო განაჩენის გამოტანა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად. მსჯავრდებულის ადვოკატმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულ გ. თ.-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნება ხელახლა განსახილველად, იგივე საფუძვლებით, რასაც უთითებდა სააპელაციო საჩივრის დროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 16 ივნისის განჩინებით სრულად დაკმაყოფილდა მსჯავრდებულის ადვოკატის საკასაციო საჩივარი. გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის განაჩენი და საქმე დაუბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითებით, რომ ხელახლა მოხდეს გამოკვლევა ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებების, როგორცაა ვიდეო ჩანაწერი. ასევე დაცვის მხარის სხვა მტკიცებულებები. პალატამ ასევე მიუთითა, სააპელაციო სასამართლოს, საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენისას ერთნაირი გულმოდგინებით შეემოწმებინა, როგორც გ. თ.-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების საფუძვლიანობა, ასევე, ქმედების ჩადენისას იგი ხომ არ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ანდა თავისი ქმედებით ხომ არ გადააცილა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს.

საქმის ხელახალი განხილვისას, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენით შეცვალა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განაჩენი მსჯავრდებულის სასიკეთოდ. კერძოდ, მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლზე, ხოლო 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქ/პუქტიდან 120-ე მუხლზე (ორი ეპიზოდი). საბოლოოდ, სასჯელის სახედ განესაზღვრა 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 ოქტომბრის განაჩენი კვლავ გასაჩივრდა ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ. დაცვის მხარე ითხოვდა საქმის შეწყვეტას, ამავდროულად, ალტერნატივის სახით სასჯელის შემსუბუქებას, ხოლო ბრალდების მხარე განაჩენის გაუქმებას და საქმის

ხელახლა განსახილველად გადაგზავნას სააპელაციო სასამართლოში, რათა გამკაცრებულიყო სასჯელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივრები, თუმცა განაჩენში ცვლილება შეიტანა მსჯავრდებულის სასარგებლოდ. კერძოდ, ჯანმრთელობის დაზიანების ერთ ეპიზოდში შეწყვიტა დევნა გ. თ.-ს მიმართ, რადგან პალატის აზრით აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შემდეგ ა. დ.-ს მიმართ, გ. თ. აგრძელებდა დანის ქნევას, რა დროსაც მოხვდა გასაშვებლად მისულ გ. ბ.-ს და მ. ზ.-ს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მ. ზ.-ს მიერ მიღებული დაზიანება არ მოიცავდა საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და სწორედ ამიტომ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა ჯანმრთელობის დაზიანების ნაწილში. მეორე ეპიზოდში გაამტყუნა, ასევე დამნაშავედ ცნო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლელობაში და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლის ვადით.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. თ.-მ ნამდვილად გამოიყენა დანა თავის დასაცავად. ასევე ის ფაქტი, რომ ა. დ.-მ ნამდვილად მოსთხოვა მას ფულადი თანხა. აღნიშნული დადასტურდა, როგორც ბრალდების მხარის ასევე დაცვის მხარის მოწმეების დაკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციით, ასევე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე. საქმეში არსებული სასამართლო - სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ გ. თ.-ს აღნიშნებოდა კანქვეშა ჰემატომა თხემის არეში, თავის ტვინის შერყევა, ასევე სხეულისა და გულ-მკერდის დაჟეჟილობა, რაც ერთობლიობაში მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დადგენილად ცნო, რომ შემთხვევის დროს აწ გარდაცვლილმა ა. დ.-მ განახორციელა არამართლზომიერი ძალადობრივი ქმედება, რაც გამოიხატა ფულის მოთხოვნასა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. ამასთან, აღნიშნული შეურაცხებელი ძალადობის აღსაკვეთად, გ. თ.-ს მიერ გამოყენებული თავდაცვითი ქმედება მის ხელთ არსებული დანის დარტყმა მთელი ძალით სიცოცხლისთვის საშიშ არეში, აშკარად შეუსაბამო იყო ა. დ.-ს მიერ მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათთან და მოსალოდნელ საშიშროებასთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სწორი სამართლებრივი შეფასება რომ არა, გ. თ. მსჯავრდებული იქნებოდა ბრალდების შესახებ დადგენილებაში

მითითებული სსკ-ის მუხლებით, რადგან პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა, გამამტყუნებელი განაჩენი სწორედ იმ მუხლებით დაადგინეს. მართალია, მეორედ სააპელაციო სასამართლომ შეცვალა გადაწყვეტილება, თუმცა ვფიქრობ, რომ არა სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მითითება შეიძლება ისევ იდენტური გადაწყვეტილება ყოფილიყო მიღებული.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე *Gourko v. United States*. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ჯონ გოურკო იყო 19 წლის პოლონელი იმიგრანტი. იგი ცხოვრობდა ძმასთან ერთად, სასრგებლო წიაღისეულის მომპოვებელ ბანაკში. პეტერ კარბო სხვა პოლონელი იმიგრანტი იყო, დაახლოებით 40-45 წლის, რომელიც ქვანახშირის გარკვეული ტვირთის გამო, გამუდმებით ეჩხუბებოდა ძმებ გოურკოებს, რადგან ეჭვობდა, რომ ისინი იპარავდნენ ქვანახშირს. მოწმის ნაამბობის თანახმად, კარბო ჯონს „ექცეოდა როგორც ძალს“. პეტერს ადვილად შეეძლო ძალადობა - იგი იწონიდა 200 გირვანქა, იყო ძალიან ძლიერი და მიიჩნეოდა სახიფათო და საშიშ ადამიანად. ჯონ გოურკო 135 გირვანქას იწონიდა, ითვლებოდა დელიკატურ და მშვიდობისმყოფელ ახალგაზრდად.

ერთ-ერთ დასვენების დღეს კარბო ფოსტის ოფისთან ახლოს დაუპირისპირდა ჯონს, მუშტი დაარტყა სახეში და უყვიროდა მას. თვითმხილველები შეშინებულები იყვნენ, რადგან შესაძლოა გოურკო მოეკლა მას. ამის შემდეგ, დაახლოებით ნახევარ ან ერთ საათში კვლავ მოხდა დაპირისპირება პეტერსა და ჯონს შორის ბილიარდის დარბაზში. მათ იკამათეს და გავიდნენ გარეთ. გოურკომ თან ნაქონი პისტოლეტიდან ერთხელ მოახდინა გასროლა პეტერის მიმართულებით თავში, ხოლო ორჯერ - სხეულში და ადგილზე მოკლა იგი.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ჯონ მარშალ ჰარლანმა, თვლიდა, რომ ჯონ გოურკო იმყოფებოდა მართლზომიერი თავდაცვის მდგომარეობაში, თუმცა სხვა მოსამართლეებს განსხვავებული აზრი ჰქონდათ. მოსამართლე პარკერმა ნაფიც მსაჯულებს განუმარტა, განსხვავება განზრახ მკვლელობასა და მკვლელობაში თავდაცვის მიზნით წინასწარი განზრახვის გარეშე (manslaughter)⁶⁶ მოსამართლე პარკერმა მიმართა ნაფიც მსაჯულებს, რომ იარაღის ტარება

⁶⁶ მკვლელობა წინასწარი განზრახვის გარეშე - ქართულ სისხლის სამართალში იგივეა რაც მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. იხ. <https://legal-dictionary.thefreedictionary.com/manslaughter>

შეიძლება ჩაითვალოს სამხილად, რომ სახეზეა წინასწარ განზრახული მკვლელობა, იმ შემთხვევაშიც კი თუ სახეზეა თავდაცვა.

უზენაესი სასამართლოს ერთსულოვან გადაწყვეტილების არ დაეთანხმა მოსამართლე ჰარლანი და განცხადა, რომ ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნოთ დამნაშავედ განზრახ მკვლელობაში ჯონ გოურკო, რადგან მას ჰქონდა უფლება წინასწარი განზრახვით შეიარაღებულიყო თავის დასაცავად. მის მიერ თვითნებურად შეიარაღების ფაქტი შესწავლილია და შედეგი ისაა, რომ თვითონ მკვლელობის შემთხვევა იყო წინასწარი განზრახვის გარეშე, რაც გამოირიცხავდა განზრახ მკვლელობას.

საბოლოოდ, ჯონ გოურიკოს საბრალდებო დასკვნა და სასიკვდილო განაჩენი შებრუნდა მის სასიკეთოდ. მისი საქმის განხილვა თავიდან დაიწყო. იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი პეტერ კარიბოს წინასწარი განზრახვის გარეშე მკვლელობაში და სასჯელის სახედ განესაზღვრა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა.⁶⁷

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე ჰარლანის განსხვავებულმა აზრმა განაპირობა ჯონ გოურკოს საქმის ხელახალი განხილვა და გასამართლება მკვლელობაში, რომელიც ჩადენილი იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. ამ საქმეშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა უზენაესმა სასამართლომ.

თავი 5.1. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობა (სტატისტიკური მონაცემები)

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, ჩემს მიერ, მოძიებულ იქნა განაჩენები, რომლებიც ეხებოდა აუცილებელ მოგერიებასა და მკვლელობას, ჩადენილს აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. საჯარო ინფორმაცია გამოვითხოვე საქართველოს უზენაეს სასამართლოდან, ასევე თბილისის, რუსთავის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის საქლაქო სასამართლოებიდან და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოდან. მოვითხოვე როგორც განაჩენები, აღნიშნულ თემაზე, ასევე სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ რამდენი განაჩენი დადგა საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით ბოლო სამი წლის განმავლობაში.

⁶⁷ Gourko v. United States ob. <http://www.davekopel.com/2A/LawRev/Self-Defense-Cases.htm#FN;F218>

საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული წერილის თანახმად: „საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ 2017 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით განაჩენის გამოტანით განხილულია 4 (ოთხი) სისხლის სამართლის საქმე. საქართველოს უზენაეს სასამართლოში აღნიშნულ პერიოდში საკასაციო საჩივრის საფუძველზე განხილულია 2 (ორი) სისხლის სამართლის საქმე.“⁶⁸

თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიღებული წერილის მიხედვით: „2019 წლის 25 ივნისის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი სახით სასამართლო გადაწყვეტილებების სტატისტიკური აღრიცხვა, დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება, რის გამოც მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის სრულად დაკმაყოფილების შესაძლებლობას და საჯარო ონფორმაციის სახით წარმოგიდგენთ, ჩვენს მიერ მოძებნილი და დამუშავებული გადაწყვეტილების (განაჩენის) ასლს, მხარეთა პერსონალური მონაცემების გარეშე - დამტრიხული სახით“.⁶⁹

ფოთის საქალაქო სასამართლოდან მიღებული წერილის მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან დღემდე (იგულისხმება 2019 წლის 5 ივლისი), სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით, ფოთის საქალაქო სასამართლოში არ შემოსულა და არ განხილულა.⁷⁰

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ, 2016 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საფუძველზე განაჩენი არ არის მიღებული.⁷¹

რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2016 წლიდან 2018 წლის ჩათვლით პერიოდში, საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით სისხლის სამართლის საქმე არ განხილულა.⁷²

რაც შეეხება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, პასუხი არ მიმიღია.⁷³

⁶⁸ მომართვის წერილი საქართველოს უზენაესი სასამართლოდან # 3-994-19

⁶⁹ დასახ. წერილი, N 1-01190/17515

⁷⁰ მომართვის წერილი ფოთის საქალაქო სასამართლოდან N 2001

⁷¹ მომართვის წერილი ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან N 17117

⁷² მომართვის წერილი რუსთავის საქალაქო სასამართლოდან N 827/გ

⁷³ მიმართვის წერილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს N 7087 (07.04.19.)

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ბოლო სამი წლის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმე გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით არ განუხილავს.⁷⁴

ასეთი ტენდენციის ფონზე, ჩემი აზრით უნდა, მოხდეს მოსამართლეთა გადამზადება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის თემაზე.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას შევეცადე განმეხილა ის პრობლემები, რომლებსაც სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით საქართველოს სსკ-113-ე მუხლთან მიმართებით. თეორიულ მასალასთან ერთად, დიდი ადგილი აქვს დათმობილი სასამართლო პრაქტიკის განხილვას.

ადამიანი როდის ჩადის მკვლელობას აუცილებელი ფარგლების მოგერიების გადაცილებით, ვერ გავიგებთ თუ არ ვიცით აუცილებელი მოგერიების ცნება და არსი. სწორედ, ამიტომ ნაშრომის პირველ თავში მოკლედ შევეხე აუცილებელი მოგერიების ცნებასა და მკვლელობას აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილს. მომდევნო თავში შევეცადე, აუცილებელი მოგერიების ცნება უფრო ფართო ჭრილში მიმომეხილა, ისტორიული განვითარებიდან დღეის მდგომარეობამდე. აუცილებელი მოგერიების შინაარსისა და სტრუქტურის უკეთესად გეგებისთვის, ჩემი აზრით, საჭიროა აუცილებელი მოგერიების ნიშნების განხილვა. სწორედ ამიტომ, მესამე თავში საუბარია აუცილებელი მოგერიების ნიშნებზე. კერძოდ, უკიდურესი მდგომარეობაზე, უკიდურესი მდგომარეობით გამოწვეული მოქმედებაზე და თავდაცვის სურვილზე შესაბამისი თეორიული მასალითა და პრაქტიკაში არსებული რეალური საქმეებით.

სამაგისტრო ნაშრომის შემდეგი თვი ეძღვნება მკვლელობას, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილს. შესაბამისად, მიზანშეწონილად მივიჩნიე ვრცლად მემსჯელა სასამართლო პრაქტიკაში არსებულ რეალურ საქმეზე, რადგან აღნიშნული განაჩენი, ნათლად ასახავს შემთხვევას, როდესაც ჩადენილია მკვლელობა, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. ამ თავში ასევე საუბარია თეორიულ ნაწილზე, თუ

⁷⁴ მომართვის წერილი ბათუმის საქალაქო სასამართლოდან N783 გ/კ

როდის არის ჩადენილი მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

ნაშრომის მეხუთე თავი ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოების მიერ განხილული საქმეებიდან მოყვანილია ორი გადაწყვეტილება, რომელთა შედარების საფუძველზე ირკვევა, რომ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ გადააკვალიფიცრეს საქმე, როდესაც სახეზე იყო არა განზრახ მკვლევლობა, არამედ მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

მომდევნო თავში განხილულია სასამართლო სტატისტიკა, რომელიც ასევე მეტყველებს იმაზე, რომ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები, ნაკლები სიხშირით ცვლიან საქმეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლევლობის კვალიფიკაციის დახასიათებამ, გამოყო მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორც არის რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მიერ, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა იშვიათად საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლით, როდესაც არსებობს ამის სამართლებრივი საფუძველი. რაც შეეხება პრობლემის გადაჭრის გზებს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვფიქრობ, მოსამართლეებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები და სემინარები ისეთ თემაზე, მკვლევლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა და ნორმატიული მასალა

ავტორთა კოლექტივი., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი წიგნი პირველი, თბ., გამომც. მერიდიანი, 2016

ავტორთა კოლექტივი., სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი მეორე გამოც., თბ., გამომც. მერიდიანი, 2016

გამყრელიძე ო.. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, გამომც. საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბ. 2005

ვესელისი ი. ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 38 გადამუშავებული გამოც., თბ.-ის უნივერსიტეტის გამომც., 2012

ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოც.) გამომც. უნივერსალი, თბ., 2012

ნაჭყებია გ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ., გამომც. მერიდიანი, 2007.

ტურავა მ. სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. მერიდიანი, 2011

ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხლივა მეცხრე გამოც., თბ., გამომც. მერიდიანი, 2013

შავგულიძე თ, სურგულაძე ლ., საზოგადოებრივი საშიშროების გამორიცხველი გარემოებანი სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, გამომც. მეცნიერება თბ. 1988

ცქიტიშვილი თ. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის შემქნელი დელიქტები, თბ. უნივერსიტეტის გამომც. თბ., 2014

ცქიტიშვილი თ. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის შემქნელი დელიქტები, თბ. უნივერსიტეტის გამომც. თბ., 2014

ხერხეულიძე ი., აუცილებელი მოგერიება ქართულსა და საერთო (ანგლო-საქსური ტიპის) სამართალში, თბ., თბ.-ის უნივერსიტეტის გამომც., 2008

Boaz Sangero, Self-Defense in Criminal law, გამომც. Oxford Hart, 2006

Clarkson and Keating, Criminal law, Text and Materials, მე-7 გამოც. გამომც. Sweet and Maxwell, 2010.

ნორმატიული მასალა, სამეცნიერო სტატიები და მოძიებული მასალები

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

https://emcrights.files.wordpress.com/2016/12/e183a1e18390e18391e18398e183a1-e183a1e18390e183a5e1839be18394_e183a1e18390e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e1839ae1839d-e1839b1.pdf?fbclid=IwAR2fWl4skFsP2CrJ18D6if1oQTkFFQkkWjz_W3PK8HkEgb22w3dK5GDmjoM

დვალიძე ი. მოტივი და მიზანი ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში, 2007,

<http://www.library.court.ge/upload/motivi%20da%20mizani%20sisxlis%20samartalshi.pdf>

პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის, მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ,

<https://rm.coe.int/training-manual-georgia-chapter-geo-pdf/16808e9a41>

საქართველოს ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკა.

<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1--0-10-0--0-0---Oprompt-10---.4---4---0-1l--11-ka-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&cl=CL4.5&d=HASH01816d540ae7a241ad790c6f.2.6>

<https://legal-dictionary.thefreedictionary.com/manslaughter>

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12559&fbclid=IwAR1D0E7Ho0-U7UeSOZexS9_g_WFxdVVPJCTSBxd5Q5hMZZia3F9MmRoKdjo

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12559>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1960

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 1998 წლის 17 ივლისი იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi-axali2.pdf>

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტები (სისხლის სამართალი ტომი 2) თბ., 2010

Bowett Derek W. Self-defense in international law, 1958
https://books.google.ge/books?id=v-T9iZ-ucjC&printsec=frontcover&source=gbs_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false

Merriam John J., Natural law and Self-Defense, 2010, Vol. 206,
<https://poseidon01.ssrn.com/delivery.php?ID=134094121066113087065075080088110120021087025040030006018105091106125082029070100023027001056044123040017071003076007112017094102008032018048089104096104115004082067086040078017086100081115102121004103088070084069095115121084026119116005116100108122096&EXT=pdf>

Oblin Jens David, The Doctrine Of Legitimate Defense, Stockton Center, 2015, Vol. 91.
<https://scholarship.law.cornell.edu/cgi/viewcontent.cgi?article=2562&context=facpub>

სასამართლო გადაწყვეტილებები

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმე N 1/ზ-570-16 <http://library.court.ge/judgements/1652017-08-10.pdf>

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მაისის განაჩენი #1/6856-14
https://emcrights.files.wordpress.com/2016/12/e183a1e18390e18391e18398e183a1-e183a1e18390e183a5e1839be18394_e183a1e18390e183a1e18390e1839be18390e183a0

e18397e1839ae1839d-e1839b1.pdf?fbclid=IwAR2fWl4skFsP2CrJ18D6if1oQTKFFQkkWjz_W3PK8HkEgb22w3dK5GDmjoM

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
2010 წლის 10 დეკემბრის განჩინება, N 698აპ-10

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
2016 წლის 20 მაისის განჩინება N593აპ-15

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
განჩინება N 349-12-აპ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
2016 წლის 20 მაისის განჩინება, #593აპ-15

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 14 დეკემბრის განჩინება #278-
აპ-12

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია:
<http://www.supremecourt.ge/court-decisions/criminal-cases/>

Gourko v. United States of America. <http://www.davekopel.com/2A/LawRev/Self-Defense-Cases.htm#FN;F218>

MORAN v OHIO (1984) NO 83-6759

<https://caselaw.findlaw.com/us-supreme-court/469/948.html>

STATE v. ROBBINS 58 Ohio, St. 2d 74 (OHIO 1979)

<https://casetext.com/case/state-v-robbins-22>